F 171
1970

საქართველოს სსრ განათლების საბჭოს

P

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

11-12

ნოემბერი—დეკემბერი

თბილისი—1970

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 7 ოქტომბრის ბრძანება № 519

ნორჩ მათემატიკოსთა მეთოთხმეტე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მეთხუთმეტე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

აღვნიშნავ, რომ 1969—1970 სასწავლო წელს ნორჩ მათემატიკოსთა მეთოთხმეტე რესპუბლიკური ოლიმპიადის ზონალურ ტურში მონაწილეობა მიიღო 3.911 მოსწავლემ, ამათგან 2.078 მოსწავლე X კლასელია.

წერითი ნამუშევრების ადგილზე გასწორების შედეგად, VI—IX კლასების 6.633 მოსწავლიდან დასკვნით ტურზე ზონალური საორგანიზაციო კომიტეტების მიერ დაშვებული იყო 627 მოსწავლე, X კლასების 2.078 მოსწავლიდან კი 503 მოსწავლე.

რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტმა დასკვნით ტურზე დაშვების უფლება მისცა VI—IX კლასების 268 მოსწავლეს, ხოლო X კლასების 418 მოსწავლეს.

დასკვნით ტურში დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ახალქალაქის რაიონის ორჯის, ახალქალაქის რუსული, წალკის რაიონის ნარდევანის, გუმბაოისა და წალკის 1-ლი საშუალო სკოლების X კლასების მოსწავლეებმა.

ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მონაწილეთა შორის თავი ისახელეს ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის, 42-ე, 66-ე, 37-ე, ტყვარჩელის მე-2, სოხუმის მე-5, მე-7, ცხინვალის მე-6, ქუთაისის მე-3, მე-14, ფოთის მე-2, მე-3, ცხაკაიას მე-3, ზუგდიდის 1-ლი საშუალო სკოლების მოსწავლეებმა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

F3477

§ 1

ოლიმპიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის დაჯილდოებული იქნენ პირველი ხარისხის სიგელით—12 მოსწავლე, მეორე ხარისხის—76, მესამე ხარისხის—256.

§ 2

ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ვ. ლ. ჭელიძე—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (თავ-რე).

2. მ. ბებურიშვილი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტურის უფროსი (თავ-რის მოადგილე).

3. თ. გეგელია—მათემატიკური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი.

4. გ. ხარატიშვილი—თბილისის სახ. უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი.

5. დ. ავაზაშვილი—ვ. ი. ლენინის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგე, პროფესორი.

6. ი. მეცხვარიშვილი—პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგე.

7. ნ. ლომჯარია—ვ. ი. ლენინის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი.

8. ვ. კოკელაშვილი—ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი, დოცენტი.

9. შ. ბაკურაძე—პედაგოგიკის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი.

10. რ. თავართქილაძე—პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.

11. ტ. ტყემალაძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილების უფროსი.

12. ი. შტეინბერგი—მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტი.

13. გ. ერაძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი.

14. ვ. მელაძე—თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორი.

15. ო. ღაღანიძე—თბილისის 42-ე საშუალო სკოლის დირექტორი

16. ო. ლომიძე—თბილისის 55-ე საშუალო სკოლის დირექტორი

17. ა. გამაზოვი—თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი

ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება დამტკიცდეს (თან ერთვის)

ა) პირველი ზონალური ტური ჩატარდეს 1971 წლის 21 თებერვალს, მეორე რესპუბლიკური 28 მარტს;

ბ) დაევალოს რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს: კონკრეტულად უხელმძღვანელოს ოლიმპიადის ჩატარებას და პერიოდულად განიხილოს ოლიმპიადის მიმდინარეობის საკითხები.

დროულად ჩაატაროს ოლიმპიადისათვის მოსამზადებელი მუშაობა და რაიონები უზრუნველყოს საჭირო მეთოდური მასალებით.

გ) აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, ს/ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა დროულად გააცხონ მათემატიკის მასწავლებლებს ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება.

მათემატიკური ოლიმპიადის ჩატარებისათვის ადგილზე შეიქმნან საორგანიზაციო კომიტეტები.

დ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ალ. კვაჭაძე) თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ საშუალო სკოლა-ინტერნატს 1971 წლისათვის გამოუყოს საჭირო თანხა რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში ოლიმპიადის ჩატარებისათვის;

ე) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებასა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო-სკოლა-ინტერნატს გამოუყოს ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო საბეჭდი ქაღალდი;

ვ) აღნიშნული ბრძანება განხილული იქნეს ყველა რვაწლიანი და საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე;

ზ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამბ. ა. ე. ჩხიკვაძე) უხელმძღვანელოს ოლიმპიადის მიმდინარეობას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 25 სექტემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს კოლეგიის
1970 წ. 7 ოქტომბრის დადგენილებით

დებულება

ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის შესახებ

1. ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკურ ოლიმპიადას ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის ბაზაზე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის, ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური და პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების მონაწილეობით, ყოველი წლის სექტემბრიდან მომდევნო წლის აპრილამდე.

2. ოლიმპიადა მიზნად ისახავს გააღრმაოს მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა მათემატიკაში, გამოავლინოს ნიჭიერი მოსწავლეები, დაეხმაროს სკოლაში მათემატიკის სწავლებას, საწრეო მუშაობას და ამით ხელი შეუწყოს მოსწავლეთა კულტურის ამაღლებას ამ საგანში.

3. ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ რვაწლიანი და საშუალო სკოლების VI—X (XI) კლასების მოსწავლეებს, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლის აღსაზრდელებს.

4. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის იქმნება: ა) რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო;

ბ) ზონალური კომიტეტები ზონის ცენტრად გამოყოფილ ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებთან. ზონალური კომიტეტის შემადგენლობაში შევლენ სათანადო სპეციალისტები ზონის ცენტრიდან და აგრეთვე ზონაში შემავალი რაიონებიდან.

ზონალური კომიტეტების წარმადგენლობას ამტკიცებს ზონის ცენტრის განათლების განყოფილების გამგე.

5. ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადა ტარდება ორ ტურად: პირველი—ზონალური, მეორე—რესპუბლიკური, ორივე ტური დასწრებულია. პირველი—ზონალური ტური ტარდება ზონის ცენტრში, მეორე რესპუბლიკური—თბილისში. ზონალურ ტურს ატარებს—ზონის ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტი, რესპუბლიკურს კი—რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი.

ზონალური ტურის ჩასატარებლად რესპუბლიკა დაყოფილია 25 ზონად, ზონების ცენტრებად აღებულია:

1. ქ. თბილისი—თბილისის სკოლების მოსწავლეთათვის;

2. ქ. რუსთავი—ქ. რუსთავის, გარდაბნის და მარნეულის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

3. ქ. სოხუმი—აფხაზეთის ასსრ სკოლების მოსწავლეთათვის;

4. ქ. ბათუმი—აჭარის ასსრ სკოლების მოსწავლეთათვის;

5. ქ. ცხინვალი—ს/ოსეთის ა/ო სკოლების მოსწავლეთათვის;

6. ქ. ქუთაისი—ქ. ქუთაისის, ტყიბულის, წყალტუბოს და მაიაკოვსკის რაიონების მოსწავლეთათვის;

7. ქ. სამტრედია—სამტრედიის, ვანისა და წულუკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

8. ქ. ზესტაფონი—ზესტაფონის, თერჯოლისა და ორჯონიკიძის რაიონების მოსწავლეთათვის;

9. ცაგერი—ცაგერისა და ლენტეხის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

10. ქ. ფოთი—ქ. ფოთის სკოლების მოსწავლეთათვის;

11. ქ. ცხაკაია—ცხაკაიას, აბაშის, ჩხოროწყუსა და გეგეჭკორის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

12. ქ. ზუგდიდი—ქ. ზუგდიდის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხისა და მესტიის რაიონების მოსწავლეთათვის;

13. ქ. ჭიათურა—ჭიათურისა და საჩხერის რაიონის სკოლების მოსწავლეთათვის;

14. ქ. გორი—ქ. გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

15. კასპი—კასპისა და მცხეთის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

16. ქ. ახალციხე—ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის;

17. ქ. ახალქალაქი—ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

18. ბოლნისი—ბოლნისის და დმანისის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

19. თეთრიწყარო—თეთრიწყაროსა და წალკის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

20. ქ. თელავი—თელავის, ახმეტისა და ყვარლის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

21. ქ. გურჯაანი — გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხის და საგარეჯოს რაიონების სკოლების მოსწავლეთა-თათვის;

22. ქ. დუშეთი—დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

23. ქ. მახარაძე—მახარაძის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

24. ამბროლაური—ამბროლაურისა და ონის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

25. ქ. თბილისი—რკ/გზის სკოლებისათვის;

6. ზონალური ტური ჩატარდება თებერვალში, რესპუბლიკური—მარტში.

ზონალური ტურის კანდიდატებს, განათლების განყოფილებებთან შეთანხმებით შეარჩევენ თვით სკოლები იმ მოსწავლეთა-გან, რომელთაც აქვთ სათანადო მონაცემები და სურვილი მონაწილეობა მიიღონ მათემატიკურ ოლიმპიადაში.

ამ მოსწავლეთა სიები, შემოწმებული განათლების განყოფილების მიერ 10 თებერვლამდე ეგზავნება ზონის ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტს.

7. ორივე ტურის ამოცანებს ადგენს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი. ზონალური ტურისათვის დალუქული პაკეტი ამოცანებით ადგილზე მიაქვს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელს, რომელიც მივლინებულ იქნება ტურის ჩატარების ხელმძღვანელობისათვის.

8. ზონალური ტურის წერით ნამუშევრებს იბარებს ზონის საორგანიზაციო კომიტეტი, იმავე დღეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ასწორებს დ ტურში გამარჯვებულთა ნამუშევრებს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელი კონტროლისათვის უდგენს რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს.

9. ოლიმპიადაში მონაწილე VI—VIII კლასების მოსწავლეებს მიეცემათ ოთხ-ოთხი ამოცანა, ხოლო IX—X კლასების მოსწავლეებს კი ხუთ-ხუთი, დრო ამოცანების ამოხსნისათვის განსაზღვრულია 5 ასტრონომიული საათი.

10. ნამუშევრები ფასდება ქულებით. თითოეული ამოცანის სწორი და რაციონილური გზით ამოხსნა შეფასდება ორი ქულით, არასწორი ამოხსნისათვის მონაწილეს ქულა არ ეწერება.

11. ტურის მონაწილე VI—VIII კლასების მოსწავლენი, რომლებიც მიიღებენ არა ნაკლებ 6 ქულას 8 შესაძლებლიდან, ხოლო IX—X კლასების მოსწავლენი 6 ქულას 10 შესაძლებლიდან დაიშვებიან შემდეგ ტურში მონაწილეობის მისაღებად.

12. ზონალურ ტურში გამარჯვებულ მოსწავლეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი გამოიწვევს თბილისში დასკვნით ტურში მონაწილეობის მისაღებად.

13. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ოლიმპიადაში გამარჯვებულებს წარუდგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დასაჯილდოებლად.

ოლიმპიადის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიღეტის

მ ი ს ა მ ა რ თ ი:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი 49, თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 30 ოქტომბრის № 590 ბრძანება

მშობლიურ ლიტერატურაში მესამე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მეოთხე რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ

აღვნიშნავ, რომ 1969/1970 სასწავლო წელს მშობლიური ლიტერატურის მესამე რესპუბლიკური ოლიმპიადა ორგანიზებულად ჩატარდა. ოლიმპიადაში მონაწილეობდა ქართული, რუსული, სომხური და აზერბაიჯანული სკოლების VIII—X კლასების 1670 მოსწავლე, აქედან გაიმარჯვა 521-მა.

ოლიმპიადაში წარმატებას მიაღწიეს თბილისის 1-ლი, მე-10 მე-14. 23-ე, მე-100, ქ. ბათუმის 1-ლი, მე-2, ქ. სოხუმის მე-5, ქ. ფოთის 1-ლი, ლანჩხუთის მე-2, ყვარლის 1-ლი, სამტრედიის მე-3 და სხვა ქალაქებისა და რაიონების საშუალო სკოლების მოსწავლეებმა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ეს საგანი რესპუბლიკის ბევრ სკოლაში კარგად ისწავლება.

ამასთანავე, მესამე რესპუბლიკურმა ოლიმპიადამ გამოავლინა მშობლიური ლიტერატურის სწავლებაში სერიოზული ნაკლოვანებანი, მოსწავლეთა ერთი ნაწილის მიერ შესრულებული წერითი ნამუშევრები თემას არ პასუხობს. მოსწავლეებმა არ იციან ლიტერატურული ტექსტი, უშვებენ ორთოგრაფიულ, პუნქტუაციურ, სტილისტიკურ, ფაქტობრივ და აზრობრივ შეცდომებს. მარნეულის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრები შეფასდა ნიშნით „2“.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მშობლიური ლიტერატურის რესპუბლიკურ ოლიმპიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის დაჯილდოებულ იქნენ პირველი ხარისხის სიგელით 30 მოსწავლე, მეორე ხარისხის სიგელით—526 მოსწავლე.

II. მშობლიური ლიტერატურის მეოთხე რესპუბლიკური ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ა. ჩხიკვაძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი (თავ-რე)

2. ს. დვალი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი

3. ს. შახსუვარიანი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

4. ს. ამზოევი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

5. ვ. გასპარაშვილი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორ-მეთოდისტი.

6. ო. დოლაბერიძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის ს/ს ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკის სექტორის გამგე

7. ა. კვასხვაძე—თბილისის განათლების განყოფილების პედკაბინეტის მეთოდისტი

8. მ. დოჭვირი—თბილისის 55-ე საშუალო სკოლის მშობლიური ლიტერატურის მასწავლებელი

9. ფ. პაიჭაძე—ბ. ძნელაძის სახ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის წიგნზე მუშაობის განყოფილების გამგე

10. ილ. ბურშტეინი—თბილისის პედკაბინეტის მეთოდისტი

11. ე. ქურციკიძე—განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

III. მშობლიური ლიტერატურის რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება დამტკიცდეს (თან ერთვის).

IV. ზონალური ტური ჩატარდეს 1971 წლის 7 მარტს, რესპუბლიკური—1971 წლის 25 აპრილს.

V. დაევალოს რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიოს ოლიმპიადის ჩატარებისათვის მზადებას და რაიონები და ქალაქები უზრუნველყოს მეთოდური მითითებებით.

VI. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

დროულად გააცნონ მშობლიური ლიტერატურის მასწავლებლებს რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება.

მშობლიური ლიტერატურის ოლიმპიადის ჩატარებისათვის ზონებში შექმნან საორგანიზაციო კომიტეტები.

VII. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) ბ. ძნელაძის სახ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს 1971 წელს გამოუყოს საჭირო თანხა ოლიმპიადის ჩატარებისათვის.

VIII. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა საბმართველომ (ამხ. ს. არველაძე) ბ. ძნელაძის სახ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს გამოუყოს ოლიმპიადის ჩატარებისათვის 500 კგ. საწერი ქაღალდი.

IX. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს რესპუბლიკის ყველა რვაწლიანი და საშუალო სკოლის პედსაბჭოს სხდომაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 25 სექტემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **თ. ლაშქარაშვილი**

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს კოლეგიის
1970 წლის 25 სექტემბრის დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მოსწავლეთა ლიტერატურული ოლიმპიადისა

1. ოლიმპიადა მიზნად ისახავს გააღრმაოს მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა მშობლიურ ლიტერატურაში, გამოავლინოს ნიჭიერი მოსწავლეები, ხელი შეუწყოს სკოლაში მშობლიური ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებას.

2. ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლია რვაწლიანი და საშუალო სკოლების VIII—X კლასების (IX—XI) ყველა მოსწავლეს.

3. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის იქმნება:

ა) რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს განათლების სამინისტრო:

ბ) ზონალური კომიტეტები, ზონის ცენტრად გამოყოფილ ქალაქებსა და რაიონის განათლების განყოფილებებთან, ზონალური კომიტეტის შემადგენლობაში შევლენ სათანადო სპეციალისტები ცენტრიდან და აგრეთვე ზონაში შემავალი რაიონებიდან.

ზონალური კომიტეტების შემადგენლობას ამტკიცებს ცენტრის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.

4. ლიტერატურული ოლიმპიადა ტარდება ორ ტურად: პირველი—ზონალური, მეორე—რესპუბლიკური. ორივე ტური დასწრებულია, პირველი ზონალური ტური ტარდება ზონის ცენტრში, მეორე—რესპუბლიკური—თბილისში. ზონალურ ტურს ატარებს ზონის ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტი, რესპუბლიკურს კი—რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი.

5. ზონალური ტურის ჩასატარებლად რესპუბლიკა დაყოფილია 25 ზონად:

1. ქ. თბილისის—თბილისის სკოლების მოსწავლეთათვის;

2. ქ. რუსთავის—ქ. რუსთავის, გარდაბნისა და მარნეულის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

3. ქ. სოხუმი—აფხაზეთის ასსრ სკოლების მოსწავლეთათვის;

4. ქ. ბათუმი—აჭარის ასსრ სკოლების მოსწავლეთათვის;

5. ქ. ცხინვალი—ს/ო ა/ო სკოლების მოსწავლეთათვის;

6. ქ. ქუთაისი—ქ. ქუთაისის, ჭიათურის, წყალტუბოს და მაიაკოვსკის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

7. ქ. სამტრედია—სამტრედიის, ვანისა და წულუკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

8. ქ. ზესტაფონი—ზესტაფონის, თერჯოლისა და ორჯონიკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

9. ცაგერი—ცაგერისა და ლენტეხის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

10. ქ. ფოთი—ქ. ფოთის სკოლების სოსწავლეთათვის;

11. ქ. ცხაკაია—ცხაკაიას, აბაშის, ჩხოროწყუსა და გეგეჭკორის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

12. ქ. ზუგდიდი—ქ. ზუგდიდის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხისა და მესტიის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

13. ჭიათურა—ჭიათურისა და საჩხერის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

14. ქ. გორი—ქ. გორის, გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

15. კასპი—კასპისა და მცხეთის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

16. ქ. ახალციხე—ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

17. ქ. ახალქალაქი—ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

18. ბოლნისი—ბოლნისის და დმანისის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

19. თეთრიწყარო—თეთრიწყაროსა და წალკის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

20. ქ. თელავი—თელავის, ახმეტისა და ყვარლის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

21. ქ. გურჯაანი—გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, საგარეჯოს რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

22. ქ. დუშეთი—დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

23. ქ. მახარაძე —მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

24. ამბროლაური—ამბროლაურისა და ონის რაიონების სკოლების მოსწავლეთათვის;

25. თბილისი—რკ/გზის სკოლებისათვის;

6. პირველი ზონალური ტური შედგება 1971 წლის 7 მარტს, მეორე რესპუბლიკური 25 აპრილს, ზონალური ტურის კანდიდატებს, განათლების განყოფილებებთან შეთანხმებით, შეარჩევენ თვით სკოლები იმ მოსწავლეთაგან, რომელთაც აქვთ სათანადო მონაცემები და სურვილი მონაწილეობა მიიღონ ლიტერატურის ოლიმპიადაში.

ამ მოსწავლეთა სიები, შემოწმებული განათლების განყოფილების მიერ ეგზავნება ზონის ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტს.

7. ორივე ტურის თემებს ადგენს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი. ზონალური ტურისათვის დალუქულ პაკეტებს საორგანიზაციო კომიტეტები მიიღებენ ფოსტით ან სპეციალური პირის საშუალებით.

8. ზონალური ტურის დღეს დალუქულ პაკეტს ოლიმპიადის მონაწილე მოსწავლეთა თანდასწრებით ხსნის ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

შენიშვნა: ოლიმპიადაზე წერითი სამუშაო სრულდება წინასწარ მომზადებულ და შტამპდასმულ ქაღალდზე, რომელსაც ამზადებენ შესაბამისი საორგანიზაციო კომიტეტები.

9. ოლიმპიადაზე მონაწილე მოსწავლეებისათვის თემის დასაწერად განსაზღვრულია 5 ასტრონომიული საათი.

10. ზონალური ტურის მონაწილე მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს ასწორებენ ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები და გამარჯვებულთა შეფასების ნიშნებსა და ნაწერებს უგზავნიან რესპუბლიკურ კომიტეტს.

11. ზონალურ ტურში გამარჯვებულ მოსწავლეებს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი გაიწვევს თბილისში დასკვნით ტურში მონაწილეობის მისაღებად.

12. რესპუბლიკური ტურის მონაწილე მოსწავლეთა ნამუშევრებს განიხილავს რესპუბლიკის საორგანიზაციო კომიტეტი, რესპუბლიკურ ოლიმპიადაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის მოსწავლეები, რომლებიც ორივე ტურში მიიღებენ მაღალ შეფასებას („4“ ან „5“).

13. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ოლიმპიადაში გამარჯვებულებს დასაჯილდოებლად წარუდგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

ოლიმპიადის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის
მ ი ს ა მ ა რ თ ი:
ქ. თბილისი, რუსთაველის პრ. № 6. ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

F3477

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 6 აგვისტოს ბრძანება № 404

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სასკოლო ბიბლიოთეკების საზოგადოებრივ დათვალიერებაში გამარჯვებული ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოთეკართა დაჯილდოების შესახებ

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობის საზოგადოებრივი დათვალიერების რესპუბლიკური საორგანიზაციო კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

I. რესპუბლიკურ დათვალიერებაში საუკეთესო შედეგების მოპოვებისათვის მიენიჭოს პირველი ხარისხის ჯილდო შემდეგ ბიბლიოთეკებს:

1. ქ. თბილისის 55-ე საშუალო სკოლის ბიბლიოთეკას
2. თბილისის 23-ე საშუალო სკოლის ბიბლიოთეკას
3. მახარაძის მე-2 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკას
4. სოხუმის მე-2 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკას
5. ჩაქვის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკას და გამოეყოს მათ თითოეულს 100 მანეთის ლიტერატურა.

II. დათვალიერებაში გამოვლენილი საუკეთესო მაჩვენებლებისათვის დაჯილდოვდნენ სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით სასკოლო ბიბლიოთეკარები:

1. ლ. პაიჭაძე (ქ. თბილისის 55-ე საშ. სკოლის ბიბლიოთეკის გამგე)
2. ვ. ფოფხაძე (ქ. თბილისის მე-60 საშ. სკოლის ბიბლიოთეკის გამგე)
3. ე. უგრეხელიძე (ქ. თბილისის 23-ე საშ. სკოლის ბიბლიოთეკის გამგე)

4. ნ. ბურჭულაძე (მახარაძის მე-2 საშ. სკოლის ბიბლიოთეკის გამგე)

5. ნ. ბზიკაძე (სოხუმის მე-2 საშ. სკოლის ბიბლიოთეკის გამგე)

6. ა. მაღლაკელიძე (ჩაქვის ქართული საშ. სკოლის ბიბლიოთეკის გამგე)

7. ზ. გუბელაძე (ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გამგე)

8. ნ. მაისურაძე (ქუთაისის მე-4 საშ. სკოლის ბიბლიოთეკის გამგე)

9. ნ. რუხაძე (ქუთაისის 21-ე საშ. სკოლის ბიბლიოთეკის გამგე)

10. მ. გოგიბერიძე (გალის მე-4 საშ. სკოლის ბიბლიოთეკის გამგე)

11. რ. ალადაშვილი (ქ. თელავის მე-3 საშ. სკოლის ბიბლიოთეკის გამგე)

12. ლ. ორახელაშვილი (მცხეთის 1-ლი საშ. სკოლის ბიბლიოთეკის გამგე)

13. ნ. მეხანაშვილი (გორის რაიონის ატენის სკოლა-ინტერნატის ბიბლიოთეკის გამგე)

14. ე. ბუნტური (კასპის მე-3 საშ. სკოლის ბიბლიოთეკის გამგე)

15. ე. ლორთქიფანიძე (ტყიბულის 1-ლი საშ. სკოლის ბიბლიოთეკის გამგე)

16. ჩ. ავალიანი (სამტრედიის რაიონის საჯავახოს საშ. სკოლის ბიბლიოთეკის გამგე)

17. ი. ჯანელიძე (სამტრედიის რაიონის ვ. სტურუას სახ. საშ. სკოლის ბიბლიოთეკის გამგე)

18. ი. ქანანოვი (გორის 1-ლი საშ. სკოლის ბიბლიოთეკის გამგე)

19. რ. ძაძამია (ბათუმის მე-2 საშ. სკოლის ბიბლიოთეკის გამგე)

20. დ. ცინარიძე (საგარეჯოს რაიონის პატარძეულის საშ. სკოლის ბიბლიოთეკის გამგე)

21. ც. ქობალია (ხუგდიდის 1-ლი საშ. სკოლის ბიბლიოთეკის გამგე)

22. ც. ჩუბინიძე (ზესტაფონის მე-3 საშ. სკოლის ბიბლიოთეკის გამგე)

23. გ. მურუსიძე (ამბროლაურის 1-ლი საშ. სკოლის ბიბლიოთეკის გამგე)

24. ქ. ბერიძე (დუშეთის 1-ლი საშ. სკოლის ბიბლიოთეკის გამგე)

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 22 ოქტომბრის ბრძანება № 572

სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნის მიმდინარეობის შესახებ

ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად ისტამბება ორიათას დასახელებაზე მეტი სასკოლო სახელმძღვანელო. მათი საერთო ტირაჟი 300 მილიონ ეგზემპლარამდე აღწევს, რაზედაც იხარჯება წიგნების გამოცემისათვის გათვალისწინებული ფონდის 50 პროცენტზე მეტი. გამოცემული სახელმძღვანელოების გამოყენება, უკეთეს შემთხვევაში ხდება ორ წელიწადს, რის შემდეგ სახელმძღვანელოების მილიონობით ეგზემპლარი იქცევა მაკულატურად, რაც გაუმართლებელ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

სახელმწიფო სახსრების ეკონომიისა და სასკოლო სახელმძღვანელოების გამოყენების ვადის გახანგრძლივებისათვის „სასკოლო სახელმძღვანელოების მომზადების, გამოცემის გაუმჯობესების ღონისძიებებისა და სახელმძღვანელოებით მოსწავლეთა უზრუნველყოფის შესახებ“ არსებული დადგენილების შესასრულებლად სერიოზული ღონისძიებები იქნა გატარებული. ჩვენი ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დაიწყო სტაბილური სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა.

აღნიშნული დადგენილების განსახორციელებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ 1968 წლის 4 ივნისის თარიღით დაუშვა ცირკულარული წერილი—„დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდის შექმნის შესახებ“, რომელშიც მითითებული იყო სახელმძღვანელოების ფონდის შექმნის გზები და საშუალებები, მაგრამ როგორც ეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში არსებული მასალებით ირკვევა, განათლების განყოფილებათა გამგეები,

სკოლის ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები სათანადო ყურადღებას არ იჩენენ ამ საქმისადმი, ადგილებზე ჯერ კიდევ არ არის გადადგმული რეალური ნაბიჯები ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე ღონისძიების განსახორციელებლად.

ახალ პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით, ჩვენს რესპუბლიკაში უკვე გამოიცა 17 დასახელების ახალი სტაბილური სახელმძღვანელო, რომელთა გამოყენების გახანგრძლივებისათვის რესპუბლიკის სკოლებში სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნისა და მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით სრულად უზრუნველყოფისათვის

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონის და ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მიიღონ გადამჭრელი ზომები დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში სტაბილური სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შესაქმნელად, რისთვისაც ფართოდ აწარმოონ სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად გამოყენებული სახელმძღვანელოების შესყიდვა-შეგროვება;

ბ) სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვა აწარმოონ სკოლის ბიუჯეტის ეკონომიის ხარჯზე, აგრეთვე საშეფო ორგანიზაციების—კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოო დაწესებულებების, პროფკავშირებისა და სხვათა მიერ ამ დანიშნულებისათვის გამოყოფილი სახსრებით;

გ) დაანუსტონ რაიონის (ქალაქის) სკოლებში შეზიდული ახალი სტაბილური სახელმძღვანელოების რაოდენობა და მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე აცნობონ ამის შესახებ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილებას. ამასთან ერთად, მიიღონ ზომები, რათა მომავალი ახალი სასწავლო წლისათვის ახალი სტაბილური სასკოლო სახელმძღვანელოების 80% გადაეცეს საბიბლიოთეკო ფონდს;

დ) გატარებული ღონისძიებების შესახებ მიმდინარე სასწავლო წლის 1 ივლისამდე აცნობონ სკოლების სამმართველოს.

2. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ (ნ. შველიძე) პერიოდულად გამოაქვეყნოს მასალები რაიონებსა და ცალკეულ

სკოლებში სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდის შექმნის მიმდინარეობის შესახებ.

3. სკოლების სამმართველომ (აკ. ჩხიკვაძე) და სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ტ. ტყემალაძე) მიმდინარე სასწავლო წლის მაისსა და ივნისში რესპუბლიკის 10 რაიონში შეისწავლონ სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდის შექმნის მიმდინარეობა და შედეგების შესახებ მოახსენონ კოლეგიას.

4. ამ ბრძანების განხორციელებაზე კონტროლი დააწესონ სკოლების სამმართველომ (ამხ. ა. ჩხიკვაძე) და სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ტ. ტყემალაძე).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 16 ოქტომბრის ბრძანება № 545

1970—1971 სასწავლო წლისათვის სასკოლო სახელმძღვანელოებისა და მეთოდური-დამხმარე ლიტერატურის გამოცემის მიმდინარეობისა და ზოგიერთი საერთო საკავშირო სახელმძღვანელოს შეცდომებით გამოშვების შესახებ

განიხილა რა გამომცემლობა „განათლების“ ინფორმაცია და სახელმძღვანელოების განყოფილების მიერ წარმოდგენილი მასალები 1970—1971 სასწავლო წლისათვის სასკოლო სახელმძღვანელოებისა და მეთოდური-დამხმარე ლიტერატურის გამოცემის მიმდინარეობისა და ზოგიერთი საერთო საკავშირო სახელმძღვანელოს შეცდომით გამოშვების საკითხის შესახებ, კოლეგია აღნიშნავს, რომ წლის განმავლობაში სახელმძღვანელოების გამოცემის საქმე მიმდინარეობდა არადამაკმაყოფილებლად, რის შედეგადაც სახელმძღვანელოების გამოცემის გეგმა ზემდგომი ორგანოების მიერ დადგენილი ვადისათვის არ შესრულდა და მთელი რიგი სასახელმძღვანელოებისა (განსაკუთრებით ახალი პროგრამების მიხედვით შედგენილი სახელმძღვანელოები) დღესაც არაა დაბეჭდილი და სავაჭრო ქსელში გაცემული, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ახალი სასწავლო წლის დაწყებას, მით უმეტეს რომ დღემდე დაბეჭდილი სახელმძღვანელოებიც კი არასრული ტირაჟით ჩაბარდა სავაჭრო ქსელს და ზოგი მათგანი (განსაკუთრებით თარგმნილი) შეცდომებითაა გამოშვებული.

რაც შეეხება სკოლების ახალი პროგრამების მიხედვით შედგენილ სახელმძღვანელოებზე გადასვლასთან დაკავშირებით მასწავლებლებისათვის მეთოდური და მოსწავლეთათვის დამხმარე ლიტერატურის ან ფაკულტატიური მეცადინეობისათვის საჭირო მასალების გამოცემას, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ლიტერატურის გამოცემა სრულიად უგულვებელყოფილია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე სანამ ჯერ კიდევ შესაძლებელია სახელმძღვანელოების გამოცემის საქმის გამოსწორება, 1970—1971 სასწავლო წლისათვის სკოლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ეთხოვოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს, მიიღოს გადამჭრელი ზომები სახელმძღვანელოების გამოცემის დასაჩქარებლად იმ ვარაუდით, რომ გამომცემლობა „განათლებამ“ უზრუნველყოს გეგმით გათვალისწინებული ყველა სასკოლო სახელმძღვანელოს სრული ტირაჟით გამოცემა და სავაჭრო ქსელში დროულად გადაცემა.

2. ეთხოვოს „საქწიგნს“ უზრუნველყოს სახელმძღვანელოების ადგილებზე დროულად მიტანა.

3. ახალ სასწავლო გეგმებსა და ახალ პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით სახელმძღვანელოების თარგმნის გაუმჯობესების მიზნით საერთო-საკავშირო ახალი სახელმძღვანელოების მთარგმნელად შეირჩეს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ როგორც რუსულს, ისე ქართულ ენას, და აიკრძალოს არასპეციალისტების მიერ სახელმძღვანელოების თარგმნა.

4. როგორც ორიგინალური სახელმძღვანელოების დედნები, ისე საერთო საკავშირო სახელმძღვანელოების თარგმანები დაიბეჭდოს კოლეგიის მიერ დამტკიცების შემდეგ წარწერით: „თარგმანი დამტკიცებულია განათლების სამინისტროს მიერ“.

5. სახელმძღვანელოს თარგმანის დამტკიცების დროს კოლეგიის სხდომებს ესწრებოდნენ მთარგმნელები, რეცენზენტები და რედაქტორები, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან თარგმანის ხარისხისათვის.

6. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე, რათა სასკოლო სახელმძღვანელოების პარალელურად იცემოდეს მასწავლებელთა დასახმარებლად ახალი სახელმძღვანელოებით სარგებლობისათვის საჭირო დამხმარე ლიტერატურა და ფაკულტატიური მეცადინეობისათვის სათანადო საკნებში სახელმძღვანელოები, რისთვისაც დაევალოს „გამომცემლობა“ განათლებას, როგორც ახალ სახელმძღვანელოებზე, ისე მასწავლებლის

დამხმარე ლიტერატურაზე ავტორებს წინასწარ გაუფორმოს ხელშეკრულებები.

7. სასკოლო სახელმძღვანელოებისა და მეთოდური და დამხმარე ლიტერატურის გამოცემის საქმის გაუმჯობესების მიზნით დაისვას საკითხი ზემდგომი ორგანოების წინაშე, რომ გამომცემლობა „განათლებაზე" მიმაგრებულ იქნეს ძირითადად რომელიმე ერთი მძლავრი სტამბა.

8. დაევალოს სახელმძღვანელოების განყოფილებას (ტ. ტყემალაძე) განათლების სამინისტროს ინსპექტორ-მეთოდისტებთან, საგნის სპეციალისტებთან ერთად სისტემატურად იხილავდეს, როგორც ორიგინალურს, ისე თარგმნილ სახელმძღვანელოებს და შედეგებს მოახსენებდეს კოლეგიას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 3 ნოემბრის ბრძანება № 596

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაობის შესახებ

სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ შეამოწმა პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაობა, შედეგები განიხილა კოლეგიის სხდომაზე და 1970 წლის 31 ივლისს მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა სისტემაში.

„საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" არსებული დადგენილების შესაბამისად უკანასკნელ ხუთ წელიწადში ინსტიტუტის კვლევითი საქმიანობის მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა განათლების შინაარსის განსაზღვრა, ორიგინალური პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შექმნა, სასწავლო და სასწავლო-მეთოდური მასალის დამუშავება. ამასთან ერთად, კვლევა სწარმოებდა პედაგოგიკის თეორიაში, მუშავდებოდა კომუნისტური აღზრდის, აგრეთვე, კერძო მეთოდიკების პრობლემები. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების საკითხების შესწავლას, განზოგადებასა და პროპაგანდას, განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების 50 და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებით.

ამჟამად, გარდა რესპუბლიკისათვის სპეციფიკური პრობლემატიკისა, ინსტიტუტში მუშავდება საერთო საკავშირო მნიშვნელობის პრობლემები. წარმატებით მიმდინარეობს მოსწავლის პიროვნების ფორმირების ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების კვლევა.

ამასთან ერთად, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ინსტიტუტი ნაკლებ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა აღზრდის პრობლემების შესწავლას, ყველა შემთხვევაში არ იჩენს აუცილებელ მომთხოვნელობას კვლევის მეთოდიკისა და ექსპერიმენტული მასალის დამუშავების ტექნიკის მიმართ; არ სწარმოებს კომპლექსური კვლევა სოციოლოგების, ფსიქოლოგების, ფიზიოლოგებისა და ანტროპოლოგების მონაწილეობით. მცირეა კოლექტიური შრომების რაოდენობა.

ინსტიტუტის თემატიკური გეგმა ყოველთვის სათანადოდ არ სახავს პრაქტიკის მოთხოვნებს, კერძოდ, სკოლის უმცროს რგოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის პრობლემების დამუშავების მხრივ. სუსტადაა დაყენებული მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა კოლექტივების მოთხოვნათა შესწავლა.

ყურადღებას იქცევს ინსტიტუტის სუსტი ნივთიერი და პოლიგრაფიული ბაზა.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილების შესასრულებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (გ. ფოფხაძე):

ა) კვლევითი მუშაობის დაგეგმვა აწარმოოს სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების, განათლების ორგანოების საჭიროებათა ღრმა შესწავლის საფუძველზე. მეტი ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა აღზრდის თეორიის პრობლემების დამუშავებას, იზრუნოს იმისათვის, რომ ინსტიტუტში შეიქმნას უმაღლესი სკოლის პედაგოგიკისა და სკოლათმცოდნეობის საკითხების დამუშავების პირობები. გაძლიერდეს იმ საგნების სწავლების მეთოდიკის დამუშავება, რომლებშიც პირველ რიგშია აუ-

ცილებელი ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინება (ისტორია, გეოგრაფია, ბიოლოგია); ფსიქოლოგიის ინსტიტუტთან თანამშრომლობით გააძლიეროს აღმზრდელობითი პროცესის სოციალური და ფსიქოლოგიური ასპექტების კვლევა იმ ვარაუდით, რომ ამ საკითხების გადაჭრაში მან შეძლოს საყრდენი ცენტრის ფუნქციის შესრულება. საკვლევი თემების განსაზღვრისას ყურადღება მიექცეს თანაფარდობას მოსწავლეთა ასაკობრივ ჯგუფებს შორის. პრობლემატიკის დაგეგმვისას პრაქტიკაში იქნას შემოღებული სამინისტროსგან გეგმა-შეკვეთების დაშვების სისტემა:

ბ) გაზარდოს მომთხოვნელობა გამოკვლევების მეთოდური დონის, კვლევის მეთოდიკისა და ექსპერიმენტული მასალის დამუშავების ტექნიკისადმი; ყურადღება მიაქციოს კვლევის მეთოდების ასორტიმენტის გაზრდას, ლაბორატორიული ექსპერიმენტის, მონაცემების რაოდენობრივი დამუშავების მეთოდების გამოყენებას;

გ) აწარმოოს სახალხო განათლების განვითარებისა და საწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების აქტუალური საკითხების კომპლექსური კვლევა სოციოლოგების, ფსიქოლოგების, ფიზიოლოგებისა და ანტროპოლოგების მონაწილეობით და უზრუნველყოს კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების მკაცრი ეკონომიური, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური და ფიზიოლოგიური დასაბუთება;

დ) ფართოდ დანერგოს პრაქტიკაში მეცნიერებათა აკადემიის, პედაგოგიური ინსტიტუტების, უნივერსიტეტის მუშაკებთან ერთობლივი მეცნიერული მუშაობა;

ე) შეიმუშაოს მეცნიერული პროდუქციის დანერგვის ღონისძიებანი, დანერგვის მიმდინარეობისა და ეფექტურობის შემოწმების ორგანიზაცია და თავისი წინადადებები დასამტკიცებლად წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს;

ვ) საგამომცემლო საქმის გაუმჯობესების მიზნით იზრუნოს მცირეტირაჟიან გამოცემათა ფორმების გამოყენებაზე (როტაპრინტი, კსეროსკი და სხვ.);

ზ) მეტი ყურადღება მიაქციოს მეცნიერ მუშაკთა თანამშრომლობას საკავშირო და რესპუბლიკურ პედაგოგიურ პრესაში;

თ) გაითვალისწინოს, რომ გამომცემლობა „პედაგოგიკას“ და პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიას სსრ კავშირის განათლების სამინისტროსაგან დავალებული აქვთ საგამომცემლო გეგმებში შეი-

ტანონ და გამოსცენ მოკავშირე რესპუბლიკების პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტების თანამშრომელთა საუკეთესო შრომები დიდაქტიკის, სწავლების შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების, აღზრდის თეორიისა და მეთოდების აქტუალურ საკითხებზე;

ი) დასახოს და განახორციელოს მეცნიერ-თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებანი;

კ) მეტი ყურადღება მიაქციოს საბაზო და საყრდენი სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. დაიცვას თანაფარდობა საბაზო ობიექტებად ქალაქისა და სოფლის, მათ შორის მცირეკომპლექტიანი სკოლების შერჩევაში.

2. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაძე) გაითვალისწინოს ინსტიტუტის მომსახურე პერსონალის გაზრდა, პირველ რიგში ლაბორანტებისა, რომლებიც ინსტიტუტს ამჟამად სრულიად არ ჰყავს.

3. სამეცნიერო-პედაგოგიურ გამოკვლევათა კოორდინაციის მიზნით შეიქმნას საკოორდინაციო საბჭო განათლების სამინისტროს, უმაღლესი განათლების სამინისტროს, პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის, პედაგოგიური ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტის პედაგოგიკისა და მეთოდიკების კათედრების, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

4. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი განათლების სამინისტროს (გ. ჯიბლაძე) უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებს აცნობოს იმის შესახებ, რომ პედაგოგიკისა და მეთოდიკების კათედრები თავის დროზე აწვდიდნენ საკოორდინაციო საბჭოს ყველა აუცილებელ მასალას.

5. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტს (ზ. ახვლედიანი) ქმედითი დახმარება გაუწიოს პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტს დასრულებული შრომების ბეჭდვის საქმეში.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 21 ოქტომბრის ბრძანება № 565

1970 წლის საზაფხულო საკურსო ღონისძიებათა შედეგების შესახებ

გავეცანი რა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისა და სოხუმის ინსტიტუტის, ბათუმის, ცხინვალისა და ქუთაისის ფილიალების მიერ 1970 წლის ზაფხულში ჩატარებულ საკურსო ღონისძიებების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ გადამზადების კურსები ჩატარდა ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასული საგნების მასწავლებელთათვის ნაცვლად 5.490 მასწავლებლისა, გადამზადებულია 6.213 მასწავლებელი.

ინსტიტუტმა მასობრივად გადაამზადა ქართული და რუსული სკოლების მოსამზადებელი კლასების მასწავლებლები.

ახალ პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით ბაქოსა და ერევნის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებში გადამზადდა რესპუბლიკის აზერბაიჯანული და სომხური სკოლების 248 მოწინავე მასწავლებელი, რომლებსაც კურსების გავლის შემდეგ დაევალათ ადგილებზე მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის ჩატარება.

მოეწყო გადამზადების კურსები მასწავლებელთათვის, რომლებიც ერთდროულად ორ საგანს ასწავლიან (ქიმია, ბიოლოგია).

კურსებზე მყოფ მოწინავე მასწავლებელთაგან მომზადდა მომხსენებლები აგვისტოს თათბირებისათვის, მათვე დაევალათ საზამთრო და საზაფხულო არდადეგებზე, აგრეთვე წლის მანძილზე ახალი პროგრამებით სწავლების საკითხებზე მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის ჩატარება.

სათანადო ყურადღება დაეთმო გადასამზადებელი კურსების მოწყობას ადგილებზე. 1970 წლის ივნისსა და ივლისში კურსები მოეწყო: აზერბაიჯანული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავ-

ლებელთათვის ბოლნისში, სომხური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთათვის ახალქალაქში, აფხაზური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთათვის ოჩამჩირესა და გუდაუთში, გეოგრაფიის მასწავლებელთათვის გორში, ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთათვის ახმეტაში და სხვ.

პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად რესპუბლიკის სკოლების ექსპერიმენტული კლასების მასწავლებელთათვის ჩატარდა კურსები ქობულეთში.

კურსებზე მუშაობის პერიოდში მსმენელთათვის იკითხებოდა აქტუალურ საკითხებზე ლექცია-მოხსენებები, ეწყობოდა კულტურულ-მასობრივი ღონისძიებანი, სასწავლო ექსკურსიები.

ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის სახალხო განათლების განყოფილებებმა სათანადო დახმარება გაუწიეს ინსტიტუტსა და მის ფილიალებს, კურსების ჩასატარებლად გამოუყვეს სასკოლო შენობები.

ამასთან ერთად, საზაფხულო საკურსო ღონისძიებების ჩატარების საქმეში შეიმჩნეოდა რიგი ნაკლოვანებანი. ზოგიერთი განათლების განყოფილება საჭირო პასუხისმგებლობით არ მოეკიდა გადასამზადებელი კონტინგენტის სწორად შერჩევას და მივლინებას დახელოვნების კურსებზე (ბოგდანოვკის, მარნეულის, ახალქალაქის, ქობულეთის, აბაშის, წალენჯიხის რაიონები).

იმ მოტივით, რომ წინა წლებში ჰქონდათ გავლილი კურსები, მასწავლებლები არ მოავლინეს ადიგენის, სიღნაღის, ქ. ტყიბულის, წითელწყაროს რაიონების განათლების განყოფილებებმა. მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ აღნიშნული საზაფხულო კურსები უნდა ჩატარებულიყო ახალი პროგრამებით მომუშავე მასწავლებელთათვის.

ივნისსა და ივლისში სხვადასხვა სახის კურსებზე გეგეჭკორის რაიონმა ნაცვლად 48 მასწავლებლისა, მოავლინა 31 მასწავლებელი მესტიის რ-ნმა 32-ის ნაცვლად — 14, ვანის რაიონმა 39-ის ნაცვლად —27, ქ. ფოთმა 19-ის ნაცვლად — 8, ქ. ზუგდიდმა 21-ის ნაცვლად — 13, ონმა 29-ის ნაცვლად — 2, ლენტეხის რაიონმა 22-ის ნაცვლად—15. ჯავის რაიონის განათლების განყოფილებამ დაწყებითი კლასების 80 მასწავლებლიდან კურსებზე მიავლინა მხოლოდ 28 მასწავლებელი, ზნაურის რაიონის განათლების განყოფილებამ 85 მასწავლებლის ნაცვლად 29, ჯავის რაიონის განათლების განყოფილებას VIII — X კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლე-

ბელთა კურსებზე არცერთი მასწავლებელი არ მიუვლინებია.

ივნისსა და ივლისში ვერ დაკომპლექტდა თბილისსა და ქუთაისში ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა კურსები.

ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელთა კურსებზე სრულიად არ გამოუგზავნიათ მასწავლებლები აბაშის, მესტიის, ონის და მაიაკოვსკის განათლების განყოფილებებს.

ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებზე დადგენილი კონტინგენტი ვერ მოავლინეს ქ. რუსთავის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, ბოგდანოვკის, დმანისის, გურჯაანის, დუშეთის, თეთრიწყაროს რაიონების განათლების განყოფილებებმა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს (ამხ. თ. ზახაშვილი):

ა) 1970 წლის ბოლომდე გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი ახალ პროგრამებზე გადასული საგნების იმ მასწავლებლების გადამზადებისათვის, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზების გამო ზაფხულის პერიოდში ვერ გაიარეს კურსები;

ბ) სათანადო ორგანიზაცია გაუკეთოს ადგილებზე რაიონებისა და ქალაქების მეთოდური კაბინეტების საშუალებით კურსებგაუვლელ მასწავლებლებთან მეთოდური მუშაობის ჩატარებას:

გ) ა/წლის 20 ნოემბრამდე დაამუშაოს რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებებიდან მიღებული მასწავლებელთა სიები და 1971 წლიდან სხვადასხვა სახის გადამზადების კურსებზე მასწავლებელთა გამოძახება მოახდინოს ამ სიების მიხედვით.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები:

ა) მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდნონ მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და მის ფილიალებს მასწავლებლების გადამზადების გეგმების შესრულებაში;

ბ) გაატარონ საჭირო ღონისძიებანი, რომ ადგილებზე განათლების განყოფილებათა მეთოდურმა კაბინეტებმა ინსტიტუტისა და მისი ფილიალების უშუალო ხელმძღვანელობით გაშალონ მეთოდური მუშაობა იმ სასწავლებლებთან, რომლებმაც რაიმე მიზეზით ვერ გაიარეს გადამზადების კურსები;

გ) მიიღონ სათანადო ზომები იმ მასწავლებელთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ გადამზადების კურსებს და არ ზრუნავენ კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

დ) აღნიშნული ბრძანება განიხილონ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე და დასახონ სათანადო ღონისძიებანი.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ამხ. ა. კვაჭაძე) კონტროლი დაუწესონ ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 22 ოქტომბრის ბრძანება № 576

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა მეორე რესპუბლიკური სპარტაკიადის შედეგების

შ ე ს ა ხ ე ბ

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილმა სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა მეორე რესპუბლიკურმა სპარტაკიადამ გამოავლინა სკოლა-ინტერნატებში მასობრივ ფიზ-კულტურული და სპორტული მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესება.

სპარტაკიადა ჩატარდა ორ ჯგუფად სპორტის 7 სახეში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50 სკოლა-ინტერნატის 2.234 აღსაზრდელმა, მათ შორის 1.533-მა ვაჟმა და 701-მა გოგონამ.

სკოლა-ინტერნატების მეორე სპარტაკიადაზე პირველი ჯგუფის კოლექტივებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა კასპის საშუალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა კოლექტივი (დირექტორი ლ. გურგენიძე, მასწ. ვ. ნონიაშვილი), მეორე ადგილზე—ბროწეულას საშუალო სკოლა-ინტერნატი (დირექტორი მ. ინასარიძე, მასწ.: ვ. სულაკაძე, უ. ფხაკაძე), მესამეზე—ცხაკაიასა და ახალციხის საშუალო სკოლა-ინტერნატები (დირექტორები: ნ. ჭანტურია, შ. არველაძე, მასწ.: გ. ჭანტურია, ა. გელაშვილი).

მეორე ჯგუფში მონაწილე კოლექტივებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა ბოდბეს რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა კოლექტივი (დირექტორი ა. აბულაშვილი, მასწ. ს. აკოფოვი), მეორე ადგილზე—ქუთაისის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი (დირექტორი გ. კაკაბაძე, მასწ. გ. ონიანი), მესამე ადგილზე—კალდახვარის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი (დირექტორი მ. ცარგუში, მასწ. თ. თხაგუში).

სპორტის ცალკეული სახეების მიხედვით გუნდურ პირველ ადგილზე გამოვიდნენ:

პ ი რ ვ ე ლ ჯ გ უ ფ შ ი (საშუალო სკოლა-ინტერნატები):

ხელბურთში—ჭაბუკთა შორის—ქ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი (დირექტორი ვ. მელაძე, მწვრთნელები: ა. ლაცაბიძე, ჯ. ჯანაშია);

გოგონებს შორის—ახალციხის № 2 საშუალო სკოლა-ინტერნატი (დირექტორი ვ. ფოცხვერაშვილი)

მძლეოსნობაში—ზუგდიდის რაიონის საშუალო სკოლა-ინტერნატი (დირექტორი გ. გეთია, მწვრთნელი ბედოშვილი);

ჭადრაკში—ცხინვალის საშუალო სკოლა-ინტერნატი (დირექტორი დ. ვალიევი, მწვრთნელი კ. კოჩიევი);

ფეხბურთში—ბროწეულას საშუალო სკოლა-ინტერნატი (დირექტორი მ. ინასარიძე, მწვრთნელები: ვ. სულაძე, შ. ფხაკაძე);

ფრენბურთში—ჭაბუკთა შორის—ახმეტის საშუალო სკოლა-ინტერნატი (დირექტორი შ. ალდამოვი, მწვრთნელი თ. ნარუსლიშვილი);

გოგონებს შორის—ყვარლის საშუალო სკოლა-ინტერნატი (დირექტორი ა. ლოლაშვილი, მწვრთნელი გ. ქანდაურაშვილი);

კალათბურთში—ჭაბუკთა შორის—წულუკიძის საშუალო სკოლა-ინტერნატი (დირექტორი გ. თედორაძე, მწვრთნელი ო. წივწივაძე);

გოგონებს შორის — დუშეთის საშუალო სკოლა-ინტერნატი დირექტორი ო. ბურდული);

მეორე ჯგუფში (რვაწლიანი სკოლა-ინტერნატები):

მძლეოსნობაში—ქუთაისის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი (დირექტორი შ. კაკაბაძე, მწვრთნელი გ. ონიანი);

ჭადრაკში—ბოდბეს რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი (დირექტორი ა. აბულაშვილი, მწვრთნელი ს. აკოფოვი);

ფეხბურთში—კალდახვარის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი (დირექტორი მ. ცარგუში, მწვრთნელი ა. თხაგუში);

ფრენბურთში—ჭაბუკებს შორის—ლაჯანურის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი (დირექტორი კ. ფრუიძე);

გოგონებს შორის—ლაგოდეხის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი (დირექტორი შ. ჭინჭარაძე, მწვრთნელი ლ. ბანდური);

კალათბურთში—ჭაბუკებსა და გოგონებს შორის—ბოდბეს რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი (დირექტორი თ. აბულაშვილი' მწვრთნელი ს. აკოფოვი);

მაგიდის ჩოგბურთში—კალდახვარას რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი (დირექტორი მ. ცარგუში, მწვრთნელი ა. თხაგუში).

თელავისა და რუსთავის საშუალო სკოლა-ინტერნატებმა (დირექტორები: ლ. ხუციშვილია, ვ. პაიჭაძე) ყოველგვარი პირობები შექმნეს სპარტაკიადის ნორმალურად ჩატარებისათვის: სათანადოდ მოაწყვეს სპორტული მოედნები, მონაწილეები უზრუნველჰყვეს კულტურული და კომუნალური მომსახურებით და სხვ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სპარტაკიადის მზადებისა და ჩატარების პერიოდში გამოვლინდა მთელი რიგი ნაკლოვანებანი სკოლა-ინტერნატებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დაყენების საქმეში.

სპარტაკიადაზე მეტად დაბალი იყო სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა მაჩვენებლები სპორტულ თამაშებში.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლა-ინტერნატებს წლების მანძილზე მიცემული აქვთ განაკვეთები სპორტული მუშაობისათვის, მთელ რიგ სახეებში სპორტული მაჩვენებლები მეტად არასახარბიელოა. უფრო მეტი, ზოგჯერ ადგილი აქვს ამ განაკვეთების არადანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევებს.

ზოგიერთ სკოლა-ინტერნატში კეთილმოუწყობელია სპორტული მოედნები.

მოუმზადებელი გუნდები გამოიყვანეს მძლეოსნობაში: ბათუმის მეორე (დირექტორი ი. დიასამიძე, მწვრთნელი ს. მიქაელიძე), ატენის (დირექტორი ა. საგანელიძე, მწვრთნელი ვ. ყაყიტაშვილი), თიანეთის (დირექტორი დ. გონჯილაშვილი, მწვრთნელი რ. მექვაბიშვილი), ჩაისუბნის (დირექტორი ვ. ყურშუბაძე, მწვრთნელი ზ. პატარაია), სოხუმის პირველი (დირექტორი ლ. ანჩაბიძე, მწვრთნელი მ. ლეიბა), მარნეულის (დირექტორი ა. ქერიმოვი, მწვრთნელი მ. გასანოვი) საშუალო და ბაბუაშერისა (დირექტორი ა. ტლისოვი, მწვრთნელი ნ. დაგამუგი) და ლაგოდეხის (დირექტორი შ. ჯინჭარაძე, მწვრთნელი ლ. ბანდური) რვაწლიანმა სკოლა-ინტერნატებმა.

სრულიად არ მიუღიათ მონაწილეობა სპარტაკიადაში ბოგდანოვკის, ჯავის, ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის, ბარისახოს, ფოთის, საგურამოსა და ზოგიერთ სხვა სკოლა-ინტერნატს.

სკოლა-ინტერნატებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დაყენების საქმეში აოსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრასა და სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა მესამე რესპუბლიკური სპარტაკიადისათვის ორგანიზებულად მომზადებისა და ჩატარების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა მეორე რესპუბლიკური სპარტაკიადის შედეგები დამტკიცდეს (სპარტაკიადის შედეგები — დანართი № 1 ერთვის ბრძანებას).

2. დაევალოს რესპუბლიკის ყველა სკოლა-ინტერნატს 1970 წლის 30 დეკემბრამდე პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე განიხილონ მეორე რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მათი სპორტული კოლექტივების მონაწილეობის საკითხი და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

3. 1972 წლის იანვარ-მარტში ჩატარდეს სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა მესამე რესპუბლიკური სპარტაკიადა.

4. დაევალოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი დაოსტატების რესპუბლიკურ სპორტულ სკოლას (ამხ. რ. შავლაყაძეს) ორი თვის ვადაში დასამტკიცებლად წარმოადგინოს სკოლა-ინტერნატების 1971 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი.

5. გლდანის № 1 და № 2 რესპუბლიკურმა სპეციალურმ-სკოლა-ინტერნატებმა (ამხ. ამხ. დ. ფავლენიშვილმა, ა. წერეთელმა) უზრუნველყონ სკოლა-ინტერნატების მეორე სპარტაკიადაზე გამოვლინებულ საუკეთესო პერსპექტიულ სპორტსმენთა დასახელებულ სკოლა-ინტერნატებში გადმოყვანა და ჩარიცხვა.

6. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა), საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძემ) და ფიზიკური კულტურისა და სპორტის განყოფილებამ (ამხ. ი. ბაცელაშვილმა) შეისწავლონ სკოლა-ინტერნატებში სპორტული ჯგუფების საშტატო ერთეულების განაწილება და წამოაყენონ წინადადება მათი უფრო მიზანშეწონილად გადანაწილების შესახებ.

7. განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა II სპარტაკიადაში აქტიური მონაწილეობისა და მისი წარმატებით ჩატარებ სათვის გამოეცხადოთ მადლობა მუშაკებს თანდართული სიის მიხედვით (იხ. დანართი № 2).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

დანართი № 1

სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა მეორე რესპუბლიკური სპარტაკიადის შედეგები

პირველი ჯგუფი (საშუალო სკოლა-ინტერნატები)

1 ადგილი—კასპის სკოლა-ინტერნატი—19 საჯარიმო ქულა

2 ადგილი—ბროწეულას სკოლა-ინტერნატი—25 საჯარიმო ქულა

3 ადგილი—ცხაკაიას სკოლა-ინტერნატი—29 საჯარიმო ქულა

4 ადგილი—ახალციხის პირველი სკოლა-ინტერნატი—29 საჯარიმო ქულა

5 ადგილი—ლენტეხის პირველი სკოლა-ინტერნატი—31 საჯარიმო ქულა

6 ადგილი—ზუგდიდის პირველი სკოლა-ინტერნატი—36 საჯარიმო ქულა

7 ადგილი—ახალციხის მეორე სკოლა-ინტერნატი—36 საჯარიმო ქულა

8 ადგილი—წულუკიძის მეორე სკოლა-ინტერნატი—37 საჯარიმო ქულა

9 ადგილი—რუსთავის მეორე სკოლა-ინტერნატი—40 საჯარიმო ქულა

10 ადგილი—ჩაისუბნის მეორე სკოლა-ინტერნატი—41 საჯარიმო ქულა

11 ადგილი—ყვარლის მეორე სკოლა-ინტერნატი—42 საჯარიმო ქულა

12 ადგილი—დუშეთის მეორე სკოლა-ინტერნატი—49 საჯარიმო ქულა

13 ადილი — ახმეტის მეორე სკოლა-ინტერნატი—52 საჯარიმო ქულა

14 ადილი—კაჭრეთის მეორე სკოლა-ინტერნატი—53 საჯარიმო ქულა

15 ადგილი—მახუნცეთის მეორე სკოლა-ინტერნატი—54 საჯარიმო ქულა

16 ადგილი—სოხუმის პირველი სკოლა-ინტერნატი—55 საჯარიმო ქულა

17 ადგილი—ატენის პირველი სკოლა-ინტერნატი—55 საჯარიმო ქულა

18 ადგილი—დრანდის პირველი სკოლა-ინტერნატი—55 საჯარიმო ქულა

19 ადგილი—თიანეთის პირველი სკოლა-ინტერნატი—56 საჯარიმო ქულა

20 ადგილი—თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატი—58 საჯარიმო ქულა

21 ადგილი—თელავის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატი—61 საჯარიმო ქულა

22 ადგილი—კირნათის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატი—65 საჯარიმო ქულა

23 ადგილი—ახალქალაქის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატი—67 საჯარიმო ქულა

24 ადგილი—ბათუმის მეორე სკოლა-ინტერნატი—75 საჯარიმო ქულა

25 ადგილი—გურჯაანის მეორე სკოლა-ინტერნატი—76 საჯარიმო ქულა

26 ადგილი—სოხუმის მეორე სკოლა-ინტერნატი—80 საჯარიმო ქულა

27 ადგილი—ბათუმის მეორე სკოლა-ინტერნატი—83 საჯარიმო ქულა

28 ადგილი—ქუთაისის მეორე სკოლა-ინტერნატი—88 საჯარიმო ქულა

29 ადგილი—მარნეულის მეორე სკოლა-ინტერნატი—93 საჯარიმო ქულა

30 ადგილი—ხულოს მეორე სკოლა-ინტერნატი—93 საჯარიმო ქულა

31 ადგილი—გეგეჭკორის მეორე სკოლა-ინტერნატი—94 საჯარიმო ქულა.

32 ადგილი—ცხინვალის მეორე სკოლა-ინტერნატი—101 საჯარიმო ქულა

33 ადგილი—კიცხის მეორე სკოლა-ინტერნატი—102 საჯარიმო ქულა

34 ადგილი—განთიადის პირველი სკოლა-ინტერნატი—112 საჯარიმო ქულა

35 ადგილი—მესტიის პირველი სკოლა-ინტერნატი—116 საჯარიმო ქულა

მეორე ჯგუფი (რვაწლიანი სკოლა-ინტერნატები)

1 ადგილი—ბოდბეს პირველი სკოლა-ინტერნატი—10 საჯარიმო ქულა

2 ადგილი—ქუთაისის პირველი სკოლა-ინტერნატი—11 საჯარიმო ქულა

3 ადგილი—კალდახვარის პირველი სკოლა-ინტერნატი—12 საჯარიმო ქულა

4 ადგილი ლაჯანურის პირველი სკოლა-ინტერნატი—13 საჯარიმო ქულა

5 ადგილი—ლაგოდეხის პირველი სკოლა-ინტერნატი—15 საჯარიმო ქ ლა

6 ადგილი - ინგირის პირველი სკოლა-ინტერნატი—15 საჯარიმო ქულა

7 ადგილი—თეთრიწყაროს პირველი სკოლა-ინტერნატი—16 საჯარიმო ქულა

8 ადგილი—თბილისის 8-წლიანი სკოლა-ინტერნატი—17 საჯარიმო ქულა

9 ადგილი—განთიადის მეორე სკოლა-ინტერნატი—24 საჯარიმო ქულა

10 ადგილი—ზუგდიდის 8-წლიანი სკოლა-ინტერნატი—26 საჯარიმო ქულა

11 ადგილი—ლანჩხუთის 8-წლიანი სკოლა-ინტერნატი—32 საჯარიმო ქულა

12 ადგილი—მახარაძის 8-წლიანი სკოლა-ინტერნატი—40 საჯარიმო ქულა

13 ადგილი—ჩხოროწყუს 8-წლიანი სკოლა-ინტერნატი—45 საჯარიმო ქულა

14 ადგილი—ბაბუშერას 8-წლიანი სკოლა-ინტერნატი —45 საჯარიმო ქულა

15 ადგილი—წითელწყაროს 8-წლიანი სკოლა-ინტერნატი—47 საჯარიმო ქულა

გამოეცხადოთ მადლობა:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა მეორე რესპუბლიკურ სპარტაკიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის სკოლა-ინტერნატების დირექტორებსა და მწვრთნელებს:

1. ლ. გურგენიძეს—კასპის სკოლა-ინტერნატის დირექტორს;
2. მ. ინასარიძეს — ბროწეულას სკოლა-ინტერნატის დირექტორს;
3. ნ. ჭანტურიას—ცხაკაიას სკოლა-ინტერნატის დირექტორს;
4. ა. არველაძეს—ახალციხის № 1 სკოლა-ინტერნატის დირექტორს;
5. ა. აბულაშვილს—ბოდბეს სკოლა-ინტერნატის დირექტორს;
6. კაკაბაძეს—ქუთაისის სკოლა-ინტერნატის დირექტორს;
7. მ. ცარგუშს—კალდახვარის სკოლა-ინტერნატის დირექტორს;
8. ვ. ნონიაშვილს—კასპის სკოლა-ინტერნატის მწვრთნელს;
9. ვ. სულაკაძეს—ბროწეულას სკოლა-ინტერნატის მწვრთნელს;
10. ჟ. ფხაკაძეს—ბროწეულას სკოლა-ინტერნატის მწვრთნელს;
11. გ. ჭანტურიას—ცხაკაიას სკოლა-ინტერნატის მწვრთნელს;
12. ა. გელაშვილს—ახალციხის № 1 სკოლა-ინტერნატის მწვრთნელს;
13. ს. აკოფოვს—ბოდბის სკოლა-ინტერნატის მწვრთნელს;
14. გ. ონიანს—ქუთაისის სკოლა-ინტერნატის მწვრთნელს;
15. თ. თხაგუშს — კალდახვარას სკოლა-ინტერნატის მწვრთნელს.

II. ფინალური შეჯიბრებების მონაწილეთა ორგანიზებულად მიღება-გამგზავრებისა და საუკეთესო მომსახურებისათვის:

1. ვ. ა. პაიჭაძეს—რუსთავის სკოლა-ინტერნატის დირექტორს;

2. ლ. ვ. ხუნწარიას—თელავის სკოლა-ინტერნატის ყოფილ დირექტორს.

III. სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებების წარმატებით ჩატარებისათვის განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის თანამშრომლებს: მ. რ. შაკლაყაძეს, კ. ა. ბიბილურს, ა. პ. სუხიაშვილს, ა. ს. ცაგარეიშვილს, ა. ს. მანჯგალაძეს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 6 ოქტომბრის ბრძანება № 511

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების იმ მასწავლებელთა შრომითი მოწყობის შესახებ, რომლებიც სკოლაში მუშაობისაგან თავისუფლდებიან იმასთან დაკავშირებით, რომ IV კლასები გადაყვანილი არიან მეცნიერებათა საფუძვლების სისტემატურ სწავლებაზე და დროებით შემცირდა დაწყებითი კლასების მოსწავლეთა რიცხვი

ვაქვეყნებ ცნობისათვის და სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 18 სექტემბრის № 513 დადგენილებას „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების იმ მასწავლებელთა შრომითი მოწყობის შესახებ, რომლებიც სკოლაში მუშაობისაგან თავისუფლდებიან იმასთან დაკავშირებით, რომ IV კლასები გადაყვანილი არიან მეცნიერებათა საფუძვლების სისტემატურ სწავლებაზე და დროებით შემცირდა დაწყებითი კლასების მოსწავლეთა რიცხვი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს მოაწყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებლები, რომლებიც თავისუფლდებიან სკოლაში მუშაობისაგან IV კლასების მეცნიერებათა საფუძვლების სისტემატურ სწავლებასთან და დაწყებითი კლასების მოსწავლეთა რიცხვის დროებით შემცირებასთან დაკავშირებით, ისეთ სამუშაოზე, რომელიც მოითხოვს შესაბამისი განათლების დონეს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, აგრეთვე სხვა დაწესებულებებსა, ორგანიზაციებსა და საწარმოებში.

დაწესდეს, რომ აღნიშნული მუშაკები სარგებლობენ კულტურის, ვაჭრობის, საანგარიშო-საფინანსო დარგის მუშაკთა და სხვა სპეციალობის მუშაკთა მოსამზადებელ კურსებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე პირველ რიგში ჩარიცხვის უფლებით.

2. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების I პუნქტში აღნიშნულ მასწავლებლებს ეძლევათ შემდეგი შეღავათები და უპირატესობანი:

ა) სკოლაში მუშაობისაგან განთავისუფლებულ I—IV კლასების მასწავლებლებს შეუნარჩუნდებათ:

კულტურის, ვაჭრობის, საანგარიშო-საფინანსო დარგის მუშაკთა და სხვა სპეციალობის მუშაკთა მოსამზადებელ კურსებზე სწავლების დროისათვის საშუალო ხელფასი, რასაც ისინი იღებდნენ წინანდელ ძირითად სამუშაო ადგილზე, ვადით არა უმეტეს 3 თვისა;

მუშაობის განუწყვეტელი სტაჟი, თუ მუშაობის შეწყვეტა არ აღემატება 3 თვეს, მუშაობის ახალ ადგილზე გადასვლის დროის ჩაუთვლელად;

მასწავლებელთათვის დაწესებული მოქმედი შეღავათები და უპირატესობანი იმ დღიდან ორი წლის განმავლობაში, რაც მასწავლებლები განთავისუფლებული იქნენ სკოლაში მუშაობისაგან;

ბ) აძლიონ სხვა ადგილებში სამუშაოდ გადაყვანილ I—IV კლასების მასწავლებლებს ერთდროული დახმარება ორი თვის თანამდებობრივი განაკვეთის (ხელფასის სარგოს) ოდენობით, ხოლო იმ მასწავლებლებს, რომლებიც გადაყვანილი არიან სამუშაოდ უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ რაიონებში, აგრეთვე ურალის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის და ყაზახეთის რაიონებში—სამი თვის თანამდებობრივი განაკვეთის (ხელფასის სარგოს) ოდენობით. აძლიონ მასწავლებლის ოჯახის თითოეულ მიმავალ წევრს ერთდროული დახმარება იმ დახმარების მეოთხედის ოდენობით, რაც მასწავლებელს ეძლევა, აგრეთვე ეუნაზღაურონ თვით მასწავლებლის და მისი ოჯახის წევრების ახალ სამუშაო ადგილზე მგზავრობის და ქონების გადაზიდვის ღირებულება. ახალ სამუშაო ადგილისაკენ მგზავრობისას გზაში ყოფნის დროისათვის აძლიონ მასწავლებლებს ხელფასი და დღიურები;

გ) ჩაუთვალონ I—IV კლასების მასწავლებლებს, რომლებსაც პედაგოგიური განათლება აქვთ ან პედაგოგიურ სასწავლებლებში სწავლობენ:

ბიბლიოთეკებში სამუშაოდ შესულ პირებს საბიბლიოთეკო მუშაობის სტაჟში მათი პედაგოგიური სტაჟი;

იმათ, ვინც მუშაობა დაიწყო სოფლად მდებარე საწარმოებსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე ტურისტულ-საგახმანათლებლო დაწესებულებებში, ტურისტულ-საექსკურსიო ორგანიზაციებში, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და სასწავლო-დამხმარე პერსონალის თანამდებობებზე განათლების დაწესებულებებში, — პედაგოგიურ სტაჟში ის დრო, რაც მათ, იმუშავეს ამ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში 1970 წლიდან 1977 წლამდე პერიოდში (ჩათვლით). აღნიშნული მუშაობის დრო შეტანილი უნდა იქნას აგრეთვე სპეციალობის მიხედვით მუშაობის სტაჟში წელთა ნამსახურეობისათვის პენსიის დასანიშნავად, არსებული დადგენილების შესაბამისად.

3. დაევალოთ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს აძლიონ ამ დადგენილების 1 პუნქტში მოხსენებულ მასწავლებლებს და მათ ოჯახებს სხვა რაიონებში მუდმივ საუშაოზე გადაყვანის დროს საცხოვრებელი ფართობი და ადგილები მათი შვილებისათვის საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში რიგს გარეშე, საცხოვრებელი ფართობისა და საბავშვო დაწესებულებების უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებების ხელმძღვანელებმა:

ა) უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებლების სამუშაოზე მოწყობა, რომლებიც თავისუფლდებიან სამუშაოდან IV კლასების მეცნიერებათა საფუძვლების სისტემატურ სწავლებაზე გადაყვანასა და დაწყებითი კლასების მოსწავლეთა რიცხვის დროებით შემცირებასთან დაკავშირებით, პირველ რიგში პედაგოგიურ სამუშაოზე სკოლებში, სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებში, აგრეთვე განათლების სისტემის სხვა დაწესებულებებში;

ბ) განახორციელონ საჭირო შემთხვევაში დაწყებითი კლასების ყველაზე უფრო კვალიფიციურ მასწავლებელთა გადამზადება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და მის ფილიალებში საგნების მასწავლებლად მათი გამოყენების მიზნით.

მიიღონ ზომები აღნიშნულ მასწავლებელთა პედაგოგიური ინსტიტუტების დაუსწრებელ და საღამოს სწავლების განყოფილებებზე ჩასაბმელად, შეუქმნან მათ მუშაობისა და წარმატებითი სწავლისათვ ს აუცილებელი პირობები;

გ) დაწყებითი კლასების განთავისუფლებულ მასწავლებლების განათლების სისტ მის დაწესებულებებში შრომითი მოწყობის შეუძლებლობის შემთხვევაში, მიიღონ ზომები ისეთ სამუშაოზე გასაგზავნად, რომელიც მოითხოვს შესაფერის საგანმანათლებლო დონეს. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, აგრეთვე სხვა დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში, ხოლო საჭირო შემთხვევაში მიიღონ ზომები მათ ჩასარიცხავად კულტურის, ვაჭრობის, საინკარიში-საფინანსო და სხვა სპეციალობების მუშაკთა მოსამზადებელ და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 25 სექტემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 13 ოქტომბრის ბრძანება № 532

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ახალი 1970—1971 სასწავლო წლისათვის სასკოლო და სხვა საბავშვო დაწესებულებათა შენობების კაპიტალური შეკეთების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების მიერ შემოწმებული იქნა რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა ობიექტების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების მიმდინარეობა, სადაც გამოირკვა, რომ მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის ადგილობრივი და საქალაქო საბჭოს აღმასკომების მიერ გათვალისწინებულია 882 სასკოლო და საბავშვო დაწესებულების ობიექტების კაპიტალურად შეკეთება, რაზედაც უნდა დაიხარჯოს 3,767,0 ათასი მანეთი.

აქედან ხელშეკრულება გაფორმებულია საქ. სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „საქკომუნრემმშენის" ადგილობრივ სარემონტო-სამშენებლო კანტორებთან 740 ობიექტზე თანხით 3.164,0 ათ. მან. კოლმეურნეობებთან 107 ობიექტზე თანხით 365 ათ. მანეთზე, ხოლო საშეფო ორგანიზაციებთან 35 ობიექტზე თანხით 196,2 ათ. მანეთზე.

მიმდინარე წელს 59 რაიონის და ქალაქის სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა ობიექტებიდან კაპიტალური შეკეთება დაწყებულია მხოლოდ 32 ქალაქსა და რაიონში. არ იყო სარემონტო სამუშაოები დაწყებული ქ. რუსთავსა და რესპუბლიკის 26 რაიონში. როგორც ირკვევა ამ რაიონებში სამუშაოები არ დაწყებულა ადგილებზე ზოგიერთი საამშენებლო მასალის მიუღებლობის გამო, რომლის მიწოდებას „მთავარმომარაგება-გასაღების" სამმართველო აპირებს ივლისის ბოლომდე, მაგალითად: სამინისტ-

როს მიერ გამოყოფილი 755,6 კუბ. მეტრი მრგვალი ხეტყის მასალიდან ადგილზე მიღებულია, მხოლოდ 307 კბმ. 3216 კბმ. დახერხილი ხის მასალიდან მიღებულია 1165 კბმ. ცემენტი გამოყოფილია 1938 ტონა, ხოლო ადგილებზე მიღებული აქვთ 300 ტონა, რის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ამ მასალის კვარტალების მიხედვით არასწორად განაწილება და მიუხედავად ზემდგომი ორგანოების დადგენილებისა ჯერ კიდევ ეს შეცდომა „მთავარმომარაგებაგასაღების“ სამმართველოს მიერ არ არის გასწორებული.

უნდა აღინიშნოს, რომ საღებავი მასალები ძალზე მცირეა გამოყოფილი, რის შედეგად ზოგ რაიონს მიეცა 60—70 კგრ, რაც სრულებით არ აკმაყოფილებს მოთხოვნას. მიმდინარე წელს რესპუბლიკის სკოლების, სკოლა-ინტერნატების და სხვა საბავშვო დაწესებულებათა კაპიტალური შეკეთებისათვის გარდა ქ. თბილისისა, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქისა, გამოყოფილია საღებავი ზეთი 8,0 ტონა, ნაცვლად 35 ტონისა, მათეთრა 8,0 ტონა, ნაცვლად 45 ტონისა, მზა საღებავი 8,0 ტონა, ნაცვლად 38 ტონისა და სხვა,

სასკოლო შენობების შეკეთებაზე გამოყოფილი თანხების ათვისება ა/წლის 1/VII-ისათვის ცალკეული მოიჯარე ორგანიზაციების მიხედვით შეადგენს:

ტრესტ „საქკომუნრემშენის“ სარემონტო კონტორების მიერ 18%-ს (გეგმა 3,164,0 ათ. მანეთი, შესრულება 571,7 ათ. მანეთი), კოლმეურნეობების მიერ 6%-ს (გეგმა 3,38,0 ათ. მანეთი, შესრულება 18,7 ათ. მანეთი), საშეფო ორგანიზაციების მიერ 13% (გეგმა 196,2 ათ. მანეთი, შესრულება 25,0 ათ. მანეთი).

სულ კი 3.767 ათ. მანეთიდან 1 ივლისის მდგომარეობით ათვისებულია 615.7 ათ. მანეთი. ანუ 16%.

შემოწმებამ დაგვანახა, რომ რიგ რაიონებსა და ქალაქებში შესრულებული სარემონტო სამუშაოების ხარისხი ძალზე დაბალია, მაგ. ქ. ქუთაისის № 15 და № 25 საშ. სკოლების, დუშეთის პიონერთა სახლის, თელავის № 1 საბავშვო ბაღის, თერჯოლის რაიონის სოფ. ტყიბულჰესის 8-წლიანი და სხვა სკოლებისა და საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების რემონტებზე ადგილი ჰქონდა შესრულებულ სამუშაოებზე შეუსრულებელი მოცულობის მაწერის შემთხვევებს, მაგალითად: ქ. ქუთაისში № 19 საშ. სკოლებზე 4.509 მანეთის სამუშაოებიდან მიწერილია 139 მანეთი, ხოლო № 27 საბავშვო ბაღზე ჩატარებული 3.215 მანეთიდან 448 მანეთი და სხვა.

აჭარის ასსრ-ში სასკოლო კაპიტალური რემონტისათვის განათლების სამინისტროს ცნობით გამოყოფილი არის 530 ათ. მანეთი, 55 სასკოლო და საბავშვო დაწესებულებების შენობათა შესაკეთებლად, აქედან სარემონტო-საამშენებლო კანტორასთან ხელშეკრულება გაფორმებულია 236 ათ. მანეთზე, კოლმეურნეობებთან 45,0 ათ. მანეთზე, ხოლო საშეფო ორგანიზაციებთან 59,0 ათ. მანეთზე.

სარემონტო კანტორების მიერ 1 ივლისისათვის შესრულებულია 74,0 ათ. მანეთის სამუშაოები, ხოლო საშეფო ორგანიზაციის მიერ 25,0 ათ. მანეთის, სულ 99,0 ათ. მანეთის სამუშაოები ანუ 19%.

ქ. თბილისში სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა 165 ობიექტის რემონტებისათვის გამოყოფილია 1.585 ათ. მანეთი, აქედან სარემონტო საამშენებლო კანტორასთან ხელშეკრულება გაფორმებული არის III ობიექტზე 267 ათ. მანეთზე, გამოყოფილი თანხებიდან ქ. თბილისის ობიექტებზე ჩატარებულ რემონტებზე ათვისება შეადგენს 210,0 ათ. მანეთს ანუ გეგმის 13%-ს.

აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების სკოლების რემონტებზე მიუხედავად მოთხოვნისა, დღემდე მასალები არ წარმოუდგენიათ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს აჭარის და აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებების გამგეებს დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები გეგმით გათვალისწინებული სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა შენობების კაპიტალურად შეკეთებისათვის და გამოყოფილი თანხების ათვისებაზე მიმდინარე წლის 20 აგვისტომდე.

2. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველოს (ს. არველაძე) უზრუნველყოს ყველა რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილება სარემონტო-სამშენებლო მასალების გამოყოფილი ფონდებით, თანახმად დამტკიცებული განაწილებისა:

3. ვინაიდან გამოყოფილი საამშენებლო მასალები არასაკმარისია სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა შენობების რემონტების ჩასატარებლად, ეთხოვოს საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს

საგეგმო კომიტეტს დამატებით გამოყოს საამშენებლო მასალები თანახმად დანართისა.

4. დაევალოს განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას (ს. უჩანეიშვილი) გააძლიეროს კონტროლი კაპიტალური შეკეთების ხარისხზე და შესრულებული სამუშაოების გადახდის სისწორეზე.

მანვე 1970 წლის 1 ოქტომბრისათვის წარმოადგინოს მოხსენებითი ბარათი ჩატარებულ რემონტებზე და დაშვებული თანხების ათვისებაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 28 სექტემბრის ბრძანება № 498

სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების შემდგომი გაფართოების ღონისძიებათა შესახებ

ვაქვეყნებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 ივლისის № 418 დადგენილებას „სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების შემდგომი გაფართოების ღონისძიებათა შესახებ“

სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების შემდგომი გაფართოების ღონისძიებათა შესახებ

სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების შემდგომი გაფართოების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს აიყვანოს 1975 წლისათვის მექანიზატორთა მომზადება სასოფლო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში 3.700 კაცამდე წელიწადში, რაც განაწილდეს სამინისტროების, უწყებებისა და წლების მიხედვით, № 1 დანართის თანახმად.

სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებმა, რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა ყოველწლიურად შეასრულონ მექანიზატორთა კადრების მოსამზადებლად სასოფლო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში

მოსწავლეთა კონტინგენტის შეგროვების გეგმა ამ დადგენილების № 1 დანართით გათვალისწინებული რაოდენობით.

2. დაუწესდეთ სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ 1971—1975 წლებში 2.200 მოსწავლის ადგილიანი ახალი სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობის დავალება, რაც განაწილდეს ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონებისა და წლების მიხედვით, № 2 დანართის თანახმად.

სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებმა, რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან და მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებთან ერთად განსაზღვრონ სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობის კონკრეტული ადგილები და გაითვალისწინონ სახალხო-სამეურნეო გეგმებში სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფა.

სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობა დაეკისროთ სასოფლო მშენებლობისა და მშენებლობის სამინისტროებს.

3. დამტკიცდეს დავალება, რომ 1970—1975 წლებში 350 სასოფლო საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებმა ისწავლონ მუშაობა ტრაქტორებსა, კომბაინებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე, აგრეთვე შეისწავლონ აგროტექნიკისა და მეცხოველეობის საფუძვლები სწავლების იმ პროგრამებით, რომლებიც უნდა დაამტკიცოს სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით, ამასთან, განაწილდეს დავალება ავტონომიური ოლქისა და რაიონების მიხედვით № 3 დანართის თანახმად.

დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან

ერთად, დაამტკიცოს წლების მიხედვით იმ სკოლების ნუსხა, რომლებშიაც მოეწყობა სასოფლო-სამეურნეო პროფესიების სწავლება მოსწავლეთათვის.

განათლების სამინისტრომ მიიღოს ზომები, რათა გაუმჯობესდეს სკოლების მოსწავლეთა შრომითი სწავლება სოფლად, რისთვისაც:

ა) შემოიღოს, 1970/71 სასწავლო წლიდან დაწყებული, საჭირო პირობების მქონე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, რომ უფროსი კლასების მოსწავლეებმა ისწავლონ მუშაობა ტრაქტორებსა, კომბაინებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე, აგრეთვე შეისწავლონ აგროტექნიკისა და მეცხოველეობის საფუძვლები, გამოიყენონ ამისათვის ის დრო, რაც სასწავლო გეგმით გამოყოფილია შრომითი სწავლებისათვის ფაკულტატიური მეცადინეობისა და საზაფხულო საწარმოო პრაქტიკისათვის. ამის გარდა, გამოყოს ამ სკოლებში (სასწავლო გეგმის გადამეტებით) 20 საათი იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ინდივიდუალურად შეისწავლონ მუშაობა ტრაქტორებსა, კომბაინებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა გახსნას სასოფლო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და მათს ფილიალებში სწავლების შეკცირებულვადიანი განყოფილებები (ჯგუფები), რათა მოამზადოს ტრაქტორისტი მემანქანეები სოფლის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა რიცხვიდან, რომლებმაც მიიღეს მოწმობა სკოლაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის წარმატებით შესწავლის შესახებ;

ბ) დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" გამოეყოს რესპუბლიკის ფონდიდან დარგით „სოფლის მეურნეობა" სასოფლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, რომლებშიაც შემოღებულია მოსწავლეებისათვის ტრაქტორებსა, კომბაინებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მუშაობის სწავლება, ტრაქტორები (ერთი ტრაქტორი 100 მოსწავლეზე, მაგრამ არანაკლებ ერთი ტრაქტორისა სკოლაზე, მარცვლის ასაღები კომბაინები და სხვა სასოფლო სამეურნეო მანქანები, აგრეთვე აკუმულატორები, საწვავ-საცხები მასალები, აგრეგატები და საჭირო დეტალები განათლების სამინისტროს განაცხადების მიხედვით.

რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ ყოველწლიურად გამოყოს სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის საჭირო კვანძები, აგრეგატები, ავტომობილების, ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის განაცხადების მიხედვით.

განათლების სამინისტრომ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით განსაზღვროს იმ დანახარჯების ოდენობა, რომლებიც დაკავშირებულია სასოფლო საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და მასალების შეძენასთან 1970 წელს, ხოლო ფინანსთა სამინისტრომ ერთი დეკადის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ამ ხარჯების დაფარვის წყაროების შესახებ და შემდეგ ყოველწლიურად გაითვალისწინოს საჭირო სახსრების გამოყოფა აღნიშნული მიზნებისათვის.

რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ განახორციელოს სკოლების კუთვნილი ტრაქტორების, კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტი;

გ) დაევალოთ სასოფლო რაიონების დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს მიამაგრონ სოფლად მოქმედი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, „საქსოფლტექნიკის“ განყოფილებებს და სასოფლო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს, როგორც საბაზო საწარმოებს (ორგანიზაციებს).

კოლმეურნეობათა გამგეობებმა, საბჭოთა მეურნეობების, „საქსოფლტექნიკის“ განყოფილებების და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ხელმძღვანელებმა საჭირო დახმარება გაუწიონ სოფლად მდებარე სკოლებს იმ მხრივ, რომ მოეწყოს მოსწავლეთა შრომითი სწავლება, შეიქმნეს და მოეწყოს სასწავლო კაბინეტები, გამოიყოს სპეციალისტები, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა მოსწავლეებთან მეცადინეობისათვის.

4. ცეკავშირის გამგეობამ პირველ რიგში მიჰყიდოს საბაზრო ფონდების ხარჯზე სამშენებლო და სხვა მასალები სოფლის მეურნეობის მექანიზატორებს, რომლებიც ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებს იშენებენ.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ „სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების შემდგომი გაფართოების ღონისძიებათა შესახებ“:

ა) ნებადართულია მექანიზატორთა მომზადება № 1 დანართით გათვალისწინებული რაოდენობის ანგარიშში, სწავლების შემცირებულვადიან სასოფლო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა რიცხვიდან (სწავლების ვადა განისაზღვრება დადგენილი წესით პროფესიების მიხედვით). სწავლების დროისათვის მოსწავლეებს ეძლევათ სტიპენდია II თანრიგის ტრაქტორისტ მემანქანის დროებრივი სატარიფო განაკვეთის ოდენობით (ნაცვლად უფასო კვებისა, სპეცტანსაცმლისა და სტიპენდიისა, რაც საერთო საფუძვლებზე ეძლევა);

ბ) დადგენილია, რომ მოსწავლეებს, რომლებმაც დაამთავრეს სოფლად საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და წარმატებით გაიარეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესწავლის კურსი დამტკიცებული პროგრამის მიხედვით, მიეცემათ სათანადო მოწმობა და მიენიჭებათ უფლება ჩააბარონ საკვალიფიკაციო გამოცდა ან მიიღონ ტრაქტორისტ-მემანქანის სპეციალობა სწავლების შემცირებულვადიან სასოფლო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში;

გ) დაწესებულია საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სადაც შემოღებული იქნება ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სწავლება, ინსტრუქტორ-მასწავლებლის თანამდებობა შემდეგი ანგარიშით (დაახლოებით): ერთი ინსტრუქტორი 35 მოსწავლეზე, რომლის თანამდებობრივი განაკვეთი დაწესდება იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია დადგენილებით (დანართი № 5);

დ) დაწესებულია 1971 წლის 1 იანვრიდან სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებისათვის კვების დღიური რაციონის ღირებულება მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროების სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა კვების დღიური რაციონის ღირებულების დონეზე;

1971—1975 წლებისათვის გაუგრძელდა მოქმედების ვადა არსებულ განკარგულებას იმის შესახებ, რომ დატოვებულ იქნეს სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების განკარგუ-

ლებაში ის მოგება, რასაც ისინი თავიანთი სასწავლო მეურნეობების საწარმოო საქმიანობისაგან მიიღებენ.

ე) სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საკავშირო გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ დაევალა მოაწყონ, 1971 წლიდან დაწყებული, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დამამზადებელ საქვეუწყებო ქარხნებში და მანქანათსაცდელ სადგურებში მუდმივმოქმედი კურსები, რომლებზედაც ახალ მანქანებსა და მოწყობილობას შეისწავლიან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, წყალთა მეურნეობის ორგანიზაციების, „სოფლტექნიკის“ გაერთიანებების, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მექანიზატორები, აგრეთვე უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების მასწავლებლები და სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და სოფელ ადგილების საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ინსტრუქტორ-მასწავლებელთა პერსონალი;

ვ) ნება დაერთო საბჭოთა მეურნეობებს, წყალთა მეურნეობის ორგანიზაციებს და „სოფლტექნიკის“ გაერთიანებებს იმ შემთხვევაში, თუ მათ არ ექნებათ მექანიზატორებისათვის საცხოვრებელი ფართობის მიცემის შესაძლებლობა, იჯარით აიღონ მოქალაქეებისაგან საცხოვრებელი სადგომები სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა დასაბინავებლად, ამასთან, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მიერ დაწესებული ბინის ქირის განაკვეთებს დაუმატონ არა უმეტეს 3 მანეთისა თვეში თითო მექანიზატორზე და გასწიონ ეს ხარჯები სამეურნეო საქმიანობის შედეგების ანგარიშში;

ზ) ნება დაერთო საბჭოთა მეურნეობებს, „სოფლტექნიკის“ გაერთიანებებს, წყალთა მეურნეობის და სხვა სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს აძლიონ მათთან სამუშაოდ მისულ მექანიზატორებს, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, დახმარება სამეურნეო მოსაწყობად 100 მანეთამდე და გასწიონ ეს ხარჯები სამეურნეო საქმიანობის შედეგების ანგარიშში. მექანიზატო-

რი, რომელსაც 2 წელიწადს არ უმუშავნია დანიშნულებისამებრ და რომელმაც შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით დათხოვნასთან (საპატიო მიზეზების უქონლად) ან შრომის დისციპლინის დარღვევის გამო დათხოვნასთან დაკავშირებით, მოვალეა დაუბრუნოს საწარმოს (ორგანიზაციას) მიღებული დახმარება.

რჩევა მიეცათ კოლმეურნეობებს დაადგინონ ანალოგიური წესი დახმარების მიცემისა სამეურნეო მოსაწყობად მექანიზატორებისათვის, რომლებმაც დაამთავრეს სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები და კოლმეურნეობაში მივიდნენ სამუშაოდ.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 24 ივლისის № 418
დადგენილების დანართი № 1

ზ ე ბ მ ა

სოფლის მეურნეობისათვის მექანიზატორთა კადრების მომზადებისა საქართველოს სსრ პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სასოფლო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში 1971—1975 წლებისათვის

	წ ლ ე ბ ი				
	1971 წ.	1972 წ.	1973 წ.	1974 წ.	1975 წ.
მოსწავლეთა მიღება სულ . . .	3600	3700	3800	3900	4000
მათ შორის:					
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2200	2250	2250	2300	2400
საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო	800	800	850	900	900
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ .	600	650	700	700	700
მოსწავლეთა გამოშვება სულ . .	2840	3450	3600	3700	3700
მათ შორის:					
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო . . .	1640	2150	2200	2250	2250
საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო	700	750	750	800	800
საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“	500	550	650	650	650

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 24 ივლისის № 418
დადგენილების დანართი № 2

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობისა 1971—1975 წლებისათვის

იმ სამინისტროებისა და უწყებების დასახელება, რომლებიც მშენებლობას ახორციელებენ	ასაშენებელი ობიექტების დასახელება	მოწვეთილი ადგილი	მშენებლობის ვადები
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სასწავლებელი ლანჩხუთის რაიონში	400	1973—1974 წწ.
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო	იგივე ახალციხის რაიონში . . .	600	1974—1975 წწ.
საქ. სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო	იგივე აფხაზეთის ასსრ გალის რაიონში	600	1973—1974 წწ.
რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა"	იგივე ზუგდიდის რაიონში . . .	600	1974—1975 წწ

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი მ. მეგრელიშვილი

საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1970 წლის 24 ივლისის
№ 418 დადგენილების დანართი № 3

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

სოფლის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ტრაქტორებსა, კომბაინებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მუშაობის სწავლებისა 1970—1975 წლებში

(ერთეული)

	სულ	მათ შორის					
		1970—1971 სასწავლო წელს	1971—1972 სასწავლო წელს	1972—1973 სასწავლო წელს	1973—1974 სასწავლო წელს	1974—1975 სასწავლო წელს	1975—1976 სასწავლო წელს
1	2	3	4	5	6	7	8
აბაშის რაიონი . . .	6	1	—	1	1	2	1
ადიგენის რაიონი . .	3	—	—	1	1	—	1
ამბროლაურის რაიონი	2	—	—	1	—	1	—
ასპინძის რაიონი . .	3	—	—	1	1	—	1
ახალქალაქის რაიონი	8	1	—	1	1	2	3
ახალციხის რაიონი .	5	—	1	1	1	1	1
ახმეტის რაიონი . .	7	—	1	1	1	2	2
ბოგდანოვკის რაიონი	6	—	2	1	1	1	1
ბოლნისის რაიონი .	7	1	—	1	2	2	1
ბორჯომის რაიონი .	2	—	—	1	—	—	1

1	2	3	4	5	6	7	8
ვანის რაიონი . .	5	—	1	1	1	1	1
გარდაბნის რაიონი .	12	1	1	1	2	3	4
გორის რაიონი . . .	10	1	—	2	1	2	4
გურჯაანის რაიონი .	9	1	1	1	2	2	2
დმანისის რაიონი . .	6	—	1	1	2	1	1
გეგეჭკორის რაიონი .	5	—	1	1	1	1	1
დუშეთის რაიონი . .	5	—	1	1	1	1	1
ზესტაფონის რაიონი	3	—	—	1	—	1	1
ზუგდიდის რაიონი .	9	1	1	1	1	2	3
ყაზბეგის რაიონი . .	1	—	—	—	—	—	1
ქარელის რაიონი . .	6	1	—	1	1	1	2
კასპის რაიონი . . .	6	1	—	1	1	1	2
ყვარლის რაიონი . .	8	1	—	1	2	2	2
ლაგოდეხის რაიონი .	8	1	—	2	1	2	2
ლანჩხუთის რაიონი .	5	1	—	1	1	1	1
ლენტეხის რაიონი .	1	—	—	—	—	1	—
მარნეულის რაიონი .	11	1	1	2	2	2	3
მახარაძის რაიონი . .	9	1	1	1	1	2	3
მაიაკოვსკის რაიონი .	5	—	1	1	1	1	1
მესტიის რაიონი . . .	1	—	—	—	—	—	1

1	2	3	4	5	6	7	8
მცხეთის რაიონი . .	6	—	1	1	1	1	2
ონის რაიონი	1	—	—	1	—	—	—
ორჯონიკიძის რაიონი	2	—	1	—	1	—	—
საგარეჯოს რაიონი .	8	1	—	1	2	2	2
სამტრედიის რაიონი .	5	1	—	1	1	1	1
საჩხერის რაიონი . .	3	1	—	1	—	1	—
სიღნაღის რაიონი . .	10	1	1	1	2	2	3
თელავის რაიონი . .	8	1	1	1	1	2	2
თერჯოლის რაიონი .	5	1	—	1	1	1	1
თეთრიწყაროს რაიონი	7	1	—	1	2	2	1
თიანეთის რაიონი . .	6	—	1	1	1	2	1
ხაშურის რაიონი . .	8	1	—	1	1	2	3
ხობის რაიონი . . .	7	1	—	1	1	2	2
ცაგერის რაიონი . .	2	—	—	—	1	1	—
წალენჯიხის რაიონი .	6	—	1	1	1	2	1
წალკის რაიონი . . .	7	1	—	2	1	2	1
წითელწყაროს რაიონი	10	1	1	1	2	2	3
წულუკიძის რაიონი .	5	—	1	1	1	1	1
ცხაკაიას რაიონი . .	6	1	—	1	1	2	1
წყალტუბოს რაიონი .	6	—	1	1	1	1	2

1	2	3	4	5	6	7	8
ჩხოროწყუს რაიონი .	5	—	1	1	1	1	1
ჩოხატაურის რაიონი	4	—	1	1	1	—	1
ჭიათურის რაიონი .	2	—	—	1	—	1	—
ტყიბულის რაიონი	2	—	—	1	—	1	—
ს/ო ავტონ. ოლქი . .	15	1	2	3	1	3	5
აჭარის ასსრ . . .	11	1	1	2	2	2	3
აფხაზეთის ასსრ . .	19	2	2	2	3	5	5
ს უ ლ	350	30	30	60	60	80	90

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი**

დადგენილების შესასრულებლად ვბრძანებ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) უზრუნველყონ 1970—1971 სასწავლო წლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX კლასებში სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა მომზადების შემოღება მე-3 დანართის მიხედვით; სკოლების შერჩევისას გაითვალისწინონ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სწავლებისათვის საჭირო მატერიალური ბაზის (კაბინეტის) შექმნის, მასწავლებელთა კადრების შერჩევისა და ადგილობრივი „საქსოფლტექნიკის“ განყოფილების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების შესაძლებლობანი:

ბ) ტრაქტორის, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და აგროტექნიკის საფუძვლების სწავლებისათვის მატერიალური ბაზის შექმნის მიზნით განახორციელონ სკოლების მტკიცე კავშირი „საქსოფლტექნიკის“ განყოფილებებს, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებთან, რომლებსაც გააჩნიათ სასოფლო-სამეურნეო მანქანათა მძლავრი მეურნეობა;

გ) დააკომპლექტონ სკოლები, რომლებშიაც შემოღებული იქნება სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა მომზადება, სათანადო ცენზის, კვალიფიკაციისა და მუშაობის გამოცდილების მქონე მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა კადრებით (ყოველ 35 მოსწავლეზე ერთი ინსტრუქტორი);

დ) სკოლების სია, რომლებშიც მე-3 დანართის მიხედვით შემოღებული იქნება ტრაქტორის, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და აგროტექნიკის საფუძვლების ან მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის სწავლება კლასების რაოდენობისა და მოსწავლეთა კონტინგენტის (მათ შორის გოგონები) ჩვენებით წარმოადგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში ყოველი წლის 10 მაისისათვის.

2. საშუალო სკოლების, რომლებშიც შემოღებული იქნება სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა მომზადება, დირექტორებმა:

ა) მიიღონ საჭირო ზომები სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა მომზადებისათვის სათანადო სათავსოების გამოყოფისა და ნივთიერი ბაზის შექმნის შესახებ, რისთვისაც მჭიდრო კავშირი დაამყარონ ადგილობრივი „საქსოფლტექნიკის“ განყოფილებებთან,

კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, სასოფლო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან და უზრუნველყონ მათგან კაბინეტების მოსაწყობად საჭირო აგრეგატების, მოქმედი მოდელების, პლაკატების, ტრაქტორის ნაწილებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიღება;

ბ) ჩაატარონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის უფროსკლასელ მოსწავლეთა შორის სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა მომზადების შესახებ, რაც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის კადრების მომზადების შემდგომ გაფართოებასა და სოფლის მეურნეობაში მათს ფართოდ გამოყენებასთან;

გ) სისტემატური ხელმძღვანელობა, დახმარება, კონტროლი გაუწიონ ტრაქტორის, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა, აგროტექნიკის საფუძვლების, მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის მასწავლებლებს და იზრუნონ მათი შემდგომი პედაგოგიური დახელოვნებისათვის.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კკაჭაძე) უზრუნველყოს დაფინანსებით ქალაქებისა და რაიონების ის სკოლები, სადაც შემოღებული იქნება ტრაქტორის, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და აგროტექნიკის საფუძვლებისა და მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის სწავლება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 აგვისტოს № 896 დადგენილების შესაბამისად.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) უზრუნველყოს დაშვებული ფონდის მიხედვით, ტრაქტორებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, ტრაქტორის სათადარიგო ნაწილებით, ტრაქტორის, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და აგროტექნიკის სწავლებისათვის კაბინეტების მოსაწყობად საჭირო ავეჯით, მოწყობილობით, თვალსაჩინოებით, დამხმარე ხელსაწყოებითა და მასალებით იმ სკოლების მომარაგება, სადაც შემოღებული იქნება სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა მომზადება.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 25 სექტემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ПРИКАЗ № 491
ПО МИНИСТЕРСТВУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР ОТ 25 СЕНТЯБРЯ 1970 ГОДА

О серьезных недостатках в руководстве Цалкского районного отдела народного образования вечерним и заочным образованием работающей молодежи

Рассмотрев материалы проверки, проведенной Управлением вечерних и заочных школ, Коллегия Министерства просвещения Грузинской ССР отмечает, что Цалкский районный отдел народного образования неудовлетворительно проводит организаторскую работу в районе по повышению общеобразовательного суровня молодежи, занятой в народном хозяйстве. РОНО не выявляет действительных причин недостатков в обучении молодежи, недоброкачественно проводит инспекторские проверки вечерних и заочных школ, не проявляет должной требовательности к директорам вечерних и заочных школ по осуществлению руководства и контроля за учебным процессом в школах.

В прошлом учебном году народнохозяйственный план по контингенту учащихся не был выполнен. Вместо 614 учащихся в вечерние и заочные школы были вовлечены 505 учащихся, в то время, когда в районе работает в народном хозяйстве 1310 человек, не имеющих восьмилетнего и среднего образования.

В комплектовании вечерних и заочных школ директора допускают серьезные нарушения установленного порядка приема учащихся: в XI классы принимаются неокончившие IX классы массовых школ, или вовсе не имеющие никаких документов об образовании, без предварительной проверки знаний.

Почти во всех вечерних школах учебно-воспитательный процесс проходит на низком уровне. Многие учащиеся не посещают занятия, имеют место случаи неявки на работу без уважительной причины учителей. В Цалкской вечерней средней школе в день проверки из 92 учащихся в школу явились 30 учащихся и 2 педагога. Такое же положение было и в заочной средней школе (директор Ф. Умудумов). а в вечернюю школу с. Башкова (директор Ф. Сариев) в школу не явились ни учащиеся, ни учителя.

Большинство проверенных уроков проведено на низком научном и методическом уровне. Учащиеся XI классов не смогли решить элементарные примеры по математике, а учащиеся 10-го класса Цалкской вечерней школы на уроке химии (препод. А Цандекова) проявили полное незнание материала.

Преподаватели литературы и математики не проводят контрольных работ. У учащихся нет домашних тетрадей. Преподавательница Цалкской вечерней школы. В Пурсанова в VII классе вместо урока физики провела урок геометрии, объяснив это тем, что урок геометрии легче проводить.

В IX классе Бешташенской вечерней школы во втором полугодии преподается геометрия, а по учебному плану геометрия изучается до конца декабря.

Преподаватель истории Авранлойской вечерней школы Т. Балабанов плохо разбирается в программе. В 10-ом классе он не проходит новейшую историю, а историю СССР закончил в апреле.

Слишком малое количество текущих оценок в классных журналах. В X классе Цалкской вечерней школы в течение I четверти в классном журнале выставлены только 4 (?) текущих оценки. В XI классе по физике в течение всего прошлого уч. года в классном журнале не выставлено ни одной оценки.

Учащиеся X и XI классов Цалкской заочной школы почти по всем предметам не имели полностью обязательных зачетов.

Преподаватель физики этой же школы И. Манучаров в XI классе имел отставание на полугодие.

Крайне неудовлетворительно работают классные руководители. Они не составляют учебно-воспитательных планов, не ведут учета проведенной работы. Многие из них даже не знают, что они являются классными руководителями.

Многие школы не имеют расписания занятий и режима дня. С ошибками составлено расписание занятий в Цалкской вечерней школе. По режиму дня Башковской вечерней школы I урок начинается в 8 час. вечера и VI урок кончается в 1 час 40 мин. ночи (!).

Школы не имеют годовых планов работы и планов работы педсовета, книг приказов и движения учащихся, личных дел учащихся и педагогов. Башковская вечерняя школа не имеет даже круглой гербовой печати и аттестаты о среднем образовании были выданы с печатью дневной школы.

Совершенно отсутствуют внутришкольный контроль и руководство. Директора школ в течение ряда лет не слушали уроков преподавателей. В школах не ведется методической работы.

П р и к а з ы в а ю:

1. Принимая во внимание, что Зав. Цалкским РОНО Е. Карслиева, по уважительной причине длительное время лишена была возможности руководить учебно-воспитательной работой в школах района, ограничиваюсь предупреждением.

2. За неудовлетворительное руководство заочной средней школой—директору заочной школы Ф. Умудумову объявить выговор.

3. За недостаточное руководство школой и слабый контроль—директору Цалкской вечерней средней школы Н. Айдинову объявить в ы г о в о р.

4. За неудовлетворительное руководство вечерними школами района и необъективное инспектирование бывшему школьному инспектору Цалкского РОНО Ф. Иониди объявить выговор.

5. За слабое руководство вечерними школами школьных инспекоров Цалкского РОНО В. Попова и С. Шахбазова строго предупредить.

6. За слабую работу преподавателей Н. Караогланова, В. Пурсанову, А. Цандекову (Цалкская вечерняя школа), И. Манушарова (Цалкская заочная школа), Н. Сариева (Бешташенская вечерняя школа) и Т. Балабанова (Авранлойская вечерняя школа)—предупредить.

7. Принять к сведнию, что Башковская вечерняя (сменная) средняя школа, из-за малочисленности контингента закрыта и директор школы Ф. Сариев освобожден от занимаемой должности.

8. Учащимся—выпускникам прошлого учебного года Башковкой вечерней средней школы и выпускникам заочной средней школы 1968/69 уч. года, на основании ложных справок зачисленных в школы, аттестатов о среднем образовании не выдавать.

9. Просить Прокуратуру республики перепроверить материалы следствия по Цалкской заочной средней школе и возбудить уголовное дело с целью наказания конкретных виновников.

10. Обязать Цалкский РОНО:

а) принять неотложные меры к устранению недостатков в работе вечерних школ и обеспечить коренное улучшение их работы;

б) повысить дисциплину и ответственность работников РОНО и школ за неукоснительное выполнние приказов и указаний Министерства просвещения Грузинской ССР о повышении общеобразовательного уровня работающей молодежи;

в) проверить состав руководящих и учительских кадров вечерних и заочных школ и принять меры к его улучшению;

г) довести педагогическую нагрузку школьных инспекторов до нормы, предусмотренной законом;

д) ликвидировать неоправданные совместитетельства;

е) до конца учебного года изучить вопрос о целесообразности существования заочной школы в пос. Цалка и о преобразовании Кущинского учебно-консультационного пункта в сасамостоятельную заочную школу;

д) представить информацию Миниетерству просвещения Грузинской ССР о выполнении настоящего приказа к 1 декабря текущего года.

11. Управлению вечерних и заочных школ (тов. Чинчаладзе В. И.) в апреле 1971 года путем проведения контрольных письменных работ проверить состояние учебной работы в вечерних (сменных) школах района.

Основание: Решение Коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 25 сентября 1970 года.

Министр просвещения
Грузинской ССР **Т. Лашкарашвили**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ერთობლივი დადგენილება

ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-9 რესპუბლიკური შეკრების შედეგებისა და მე-10 რესპუბლიკური შეკრების ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

1970 წლის 24 ივლისი

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-9 რესპუბლიკური შეკრება ჩატარდა შინაარსიანად და ორგანიზებულად. შეკრებამ გამოავლინა მშობლიური მხარის შესწავლით დაინტერესებული მრავალი მოსწავლე, სკოლების, სკოლა-ინტერნატების, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების და სახლების მხარეთმცოდნეობითი მუზეუმების მრავალფეროვანი და საკვლევაძიებო მუშაობა, ყოველწლიურად ფართო მასშტაბით მზარდი მოსწავლეთა ეს საქმიანობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ნორჩ მხარეთმცოდნეთა IX რესპუბლიკური შეკრების მზადებასთან დაკავშირებით საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ჩატარდა სარაიონთაშორისო დათვალიერებანი და შეკრებები. მიზნობრივი და მეტად სასარგებლო იყო თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რაიონის, სამტრედიის, თერჯოლის, ახმეტის, საგარეჯოს და მცხეთის რაიონების ნორჩ მხარეთმცოდნეთა შეკრებები და მათი ნამუშევრების რაიონული დათვალიერებები.

ნორჩ მხარეთმცოდნეთა მეცხრე რესპუბლიკური შეკრება ჩატარდა თემაზე: „დიდი ლენინის ოცნებების კვალდაკვალ“.

შეკრებაზე წარმოდგენილი იყო ის მასალები, მოსწავლეთა საკვლევაძიებო ხასიათის ნამუშევრები, რომელნიც ნათლად ასახავდნენ სოციალისტური მშენებლობის მიღწევებს საქართველოში, ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარს საქართველოს ისტორიულ-

რევოლუციურ წარსულს და სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებას. დიდი ლენინის სახელობის ობიექტების—საუარმოთა, საბჭოთა მეურნეობების, ჰიდროელექტროსადგურების, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ისტორიასა და მიღწევებს. ქალაქებსა და სოფლებში ლენინის სახელობის მაგისტრალების, მოედნებისა და ქუჩების ისტორიას—ლენინის ორდენით დაჯილდოებული კოლმეურნეების, მუშა-ნოვატორების, სოციალისტური შრომის გმირების და ლენინური პრემიის ლაურეატების ცხოვრებას და მოღვაწეობას.

შეკრებაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი მოხსენებები და ნარკვევები, საგამოფენო მასალა, ისტორიული დოკუმენტები, ნაკეთობანი, მაკეტები; ფოტოსტენდები და დიაგრამები, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, გეოგრაფ-გეოლოგიური კოლექციები, მაატვრულად გაფორმებული მარშრუტები, ბიულეტენები და ალბომები, ისტორიული ძეგლების და ადგილების აღწერილობანი, პასპორტები, ნაკეთობანი, ჩუქურთმების ანაბეჭდები, სქემები, აგრეთვე მდიდარი ფოლკლორული და ტოპონიმიკური მასალა.

შეკრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის 65 რაიონის რვაწლიანმა და საშუალო სკოლებმა, სკოლა-ინტერნატებმა, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებმა და სახლებმა. აღსანიშნავია, ქ. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, მახარაძის, ჩოხატაურის, თელავის, გურჯაანის, ახმეტის, სიღნაღის, ლაგოდეხის, ქობულეთის, ჭიათურის, ტყიბულის, საჩხერის, თერჯოლის, წულუკიძის, ცაგერის, ვანის, ონის, ამბროლაურის, დუშეთის, ორჯონიკიძის, ასპინძის, ქარელის, საგარეჯოს, კასპის, გეგეჭკორის, გუდაუთის, ზუგდიდის, სამტრედიის, წალკის, მარნეულის, თეთრიწყაროს, მცხეთის, გარდაბნის და სხვა რაიონების ნაყოფიერი მუშაობა. საინტერესო ნამუშევრები და ექსპონატები წარმოადგინეს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ნორჩ მხარეთმცოდნეთა და გეოგრაფ-გეოლოგთა კლუბების, ტოპონიმიკოსთა სადგურის, თბილისის 1-ლი, მე-3, მე-5, მე-6, მე-12, მე-14, მე-15, მე-17, 37-ე, 143-ე, 41-ე, 42-ე, 46-ე, 51-ე, 55-ე, 57-ე, 58-ე, 112-ე, 113-ე, 114-ე, 129-ე, 130 ე საშ. სკოლების, მახარაძის რაიონის სოფ. ბახვის, მელექედურის, ახმეტის მე-2 სკოლა-ინტერნატის, ზემო ალვანის, მატანის, საკობიანოს, ონის, სიღნაღის, ბოდბის, ჩოხატაურის 1-ლი, თელავის 1-ლი და მე-4, დუშეთის, გურჯაანის რაიონის სოფ.

შრომის, ორჯონიკიძის რ-ის სოფ. ზვარეს, ხევის, ღორეშის, ასა-პინძის, ჭიათურის მე-3, ვანის კიროვის სახ., თერჯოლის რ-ის, ჩხარის, მარნეულის რ-ის სოფ. თამარისის, საგარეჯოს მე-2 საშ., გომბორის, კასპის რ-ის, ხულოს რ-ის, ამბროლაურის რ-ის სოფ. სადმელის, ხვანჭკარის და ურეკის, წალკის რ-ის ტუშინსკის, საჩხერის რ-ის სპეთის, ქარელის რ-ის ბრეთის, აგარის, გეკეჭორის რ-ის ლეხაინდრაოს, ზუგდიდის რ-ის სოფ. ცაიშის, მცხეთის, წილკნის, ჩარდახის, ქსნის, მისაქციელის, ნიჩბისის, მუხრანის, სასხორის ძველი და პატარა ქანდის, საგურამოს. ზაჰესის და გარ-დაბნის რაიონის საშუალო და რვაწლიანი სკოლების მოსწავლეებმა. ბათუმის საოლქო, ქუთაისის და ტყიბულის პიონერთა და მოსწავ-ლეთა სასახლეების, ქობულეთის, დუშეთის, ქარელის, გურჯაანის, კასპის, თელავის, ახმეტის, საგარეჯოს, ორჯონიკიძის, გუდაუთის, თერჯოლის, მახარაძის, თეთრიწყაროს, ცაგერის, ონის, მცხეთის და გარდაბნის პიონერთა და მოსწავლეთა სახლების ნორჩმა მხა-რეთმცოდნეებმა.

შეკრების მონაწილეებმა გასვლითი ღონისძიება ჩაატარეს ვ. ი. ლენინის თანამებრძოლის ს. ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმში სოფ. ღორეშაში.

შეკრების წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა მის მო-მზადება-ჩატარებაში კომკავშირული და პიონერული ორგანიზა-ციების აქტიურმა მონაწილეობამ. შეკრების შედეგები გამოქვეყნდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ორგანოს ჟურნალ „პიონერში".

შეკრების ჩატარებაში ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებსაც. ფართოდ არ იყო წარმოდგენილი მთელი რიგი რაიონების სკოლე-ბი. ზოგიერთი ქალაქის, სოფლის მონაწილეობა კი განისაზღვრა მხოლოდ ერთი ან ორი სკოლის ნორჩ მხარეთმცოდნეთა ნამუშევ-რის წარმოდგენით, რომელთა შესრულების ხარისხი იყო არადა-მაკმაყოფილებელი. არ ჩანდა წლის მანძილზე მათ მიერ ჩატარე-ბული გეგმაზომიერი და შინაარსიანი მუშაობის შედეგები. ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიუღიათ ჩხოროწყუს, გაგრის, აბაშის, ახალქალაქის, ყაზბეგის და მეს-ტიის რაიონების სკოლებს, განათლების განყოფილებებს, კომკავ-შირულ და პიონერულ ორგანიზაციებს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო

ა დ გ ე ნ ე ნ

1. სამხარეთმცოდნეო მუშაობაში წარმატების მოპოვებისა და ნორჩ მხარეთმცოდნეთა IX რესპუბლიკურ შეკრებაზე საუკეთესო ნამუშევრების წარმოდგენისათვის დაჯილდოებულ იქნენ: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დიპლომებით 94 მოსწავლე; ა) საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელებით 46 მოსწავლე;

2. კოლექტიური ნაშრომების წარმოდგენისათვის დაჯილდოებულ იქნას: ა) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დიპლომით რესპუბლიკის სკოლების ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის 34 წრე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელით 17 წრე;

3. სამხარეთმცოდნეო მუშაობაში ფართოდ ჩაბმისა და ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-9 რესპუბლიკური შეკრების მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის სიგელებით დაჯილდოებულ იქნენ წრის ხელმძღვანელები:

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დიპლომით— 21 მასწავლებელი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელით—16 მასწავლებელი.

4. დაჯილდოებულ იქნან „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით მასწავლებლები:

1. ადეიშვილი მეთოდე ივანეს ძე—ვანის კიროვის სახელობის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

2. რუსიაშვილი ჟანა იასონის ასული—თბილისის 55-ე საშ. სკოლის ისტორიის მასწავლებელი

5. ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-10 რესპუბლიკური შეკრების ხელმძღვანელებისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ობოლაძე უშანგი—საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (თავმჯდომარე)

2. ლაღიძე ნათელა—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

3. ჩიტაია გიორგი—საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი

4. ჩხიკვაძე აკაკი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო სამმართველოს უფროსი

5. დარსალია ქეთევანი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

6. შველიძე ნიკოლოზი — გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქტორი

7. დევდარიანი შოთა—ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი

8. ლომიძე ზურაბი—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის და პიონერთა მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე

9. კივილაძე აკაკი—ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მხარეთმცოდნეობისა და ნატურალისტური მუშაობას განყოფილების გამგე

10. მიქელაძე ირინე—ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მხარეთმცოდნეობის კაბინეტის გამგე

6. დაევალოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს უზრუნველყოს შეკრებასთან დაკავშირებული ყოველგვარი მეთოდური მასალის ადგილებზე დროულად დაგზავნა.

7. ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-10 რესპუბლიკური შეკრება მიძღვნილი საბჭოთა საქართველოში ხელისუფლების გაბარჯვების 50 წლისთავისადმი ჩატარებულ იქნას 1970 წლის ნოემბერში.

8. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების განათლების განყოფილებებს, კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს:

ა) შექმნან ადგილებზე ნორჩ მხარეთმცოდნეთა შეკრების საოლქო, საქალაქო და რაიონული ხელშემწყობი კომისიები;

ბ) აღნიშნული ღონისძიებების ჩატარებაში ფართოდ ჩაებან სკოლები, სკოლა-ინტერნატები, საბავშვო სახლები, საქალაქო, საოლქო პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეები და სახლები, საბავშვო ბიბლიოთეკები;

გ) ადგილებზე ჩაატარონ რესპუბლიკური შეკრებისათვის მოსამზადებელი საქალაქო, სარაიონო და სარაიონთაშორისო ნორჩ მხარეთმცოდნეთა შეკრებები.

1971 წლის 10 თებერვლამდე უზრუნველყოფილ იქნას ნორჩ მხარეთმცოდნეთა საქალაქო, რაიონული და სარაიონთაშორისო შეკრებების ჩატარება სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში, ზუგდიდში, გორსა და ახალციხეში.

დ) დაევალოს განათლების განყოფილებებს იმ სკოლებში, სადაც წლების მანძილზე გამოვლინებულ იქნა მოსწავლეთა დაინტერესება ქართული ხალხური შინამრეწველობის დარგების დაუფლებისადმი, ხალხური გამოყენებითი ხელოვნების დარგობრივი წრეები (მეხალიჩეობისა, ხეზე ჭრისა და კვეთის, კერამიკის, მხატვრული ხელგარჯილობის და ა. შ.) მოსწავლეთა მუშაობა ამ მიმართულებით წარიმართოს სათანადო პროფილით, როგორც საწრეო მუშაობის ფორმით, ისე შრომის გაკვეთილების ხარჯზე, სკოლაში არსებული შრომის სახელოსნოების გამოყენებით.

6. განათლების სამანისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) შრომის წითელი დროშის ორდენის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-10 რესპუბლიკური შეკრებისათვის საჭირო თანხა.

7. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. ჩხიკვაძე) და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილებამ (ამ. ზ. ლომიძე) დააწესონ ზედამხედველობა ამ დადგენილების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის მდივანი ნ. ლალიძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 8 ოქტომბრის ბრძანება № 524

რესპუბლიკების სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საწვავითა და ელექტროენერგიით უზრუნველყოფისა და 1970—1971 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის ამ ობიექტების მომზადების შესახებ

აღვნიშნავ, რომ სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა ქმედითი ღონისძიებანი განახორციელეს რესპუბლიკის სკოლების, სკოლა ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად.

თელავის, ბორჯომის, მახარაძის, ხობის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის და ლაგოდეხის რაიონებში დროულად შეადგინეს და რაისაბჭოს სხდომებზე დაამტკიცეს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების გეგმები. სკოლებსა და სხვა დაწესებულებებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, რის შედეგად აღნიშნულ რაიონებში ახალი სასწავლო წლისათვის მზადება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა.

დიდი მუშაობა ჩატარდა სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა სათბობით უზრუნველსაყოფად. ასე, მაგალითად, 1970 წლის 1-ლი აგვისტოსათვის მახარაძის რაიონის სკოლებში შემოზიდული იყო 1690 კუბ. მეტრი შეშა და 300 ტონა ქვანახშირი, ბორჯომის რაიონში 700 კუბმეტრი შეშა და 400 ტონა ქვანახშირი.

განათლების სამინისტროში არსებული მასალებით ირკვევა, რომ რესპუბლიკის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებებისათვის გეგმით გათვალისწინებული 1700 კუბ. მეტრი შეშა და 45840 ტონა ქვანახშირი 20 სექტემბრისათვის მთლიანად განაწილებულია და მიმდინარეობს შეზიდვა ადგილებზე.

მიუხედავად აღნიშნულისა, სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების 1970—1971 წელს შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის მზადების საქმეში შეინიშნება ზოგიერთი ნაკლოვანებანი. მაგალითად, შენობების მიმდინარე და კაპიტალური რემონტების დროს არ ხორციელდება სათანადო პროფილაქტიკური ღონისძიებანი გათბობის სეზონისათვის მოსამზადებლად. ზოგ სკოლაში, სკოლა-ინტერნატსა და საბავშვო სახლში დღემდე წესრიგში არ არის მოყვანილი ცენტრალური გათბობის სისტემა და ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებანი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) შეიმუშაონ და 1970 წლის 1-ლ ნოემბრამდე განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების 1970—1971 წწ. შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის მომზადებისა და საჭირო ოდენობის სათბობის უზრუნველსაყოფად;

ბ) გადაამოწმონ სკოლებში და საბავშვო დაწესებულებებში სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის დაწესებული ნორმების სისწორე, მიიღონ საჭირო ზომები სათბობისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის;

გ) რაციონალურად ხარჯონ ელექტროენერგია და სათბობი. მტკიცე კონტროლი დააწესონ ყველა სახის სათბობისა და ენერგიის დანაკარგების შესამცირებლად;

დ) 1970 წლის 1-ლ ნოემბრამდე უზრუნველყონ სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებებში გათბობის სისტემების, ელექტროგაყვანილობების, წყალსადენების, კანალიზაციების, სავენტილაციო დანადგარებისა და ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობათა რემონტის დამთავრება და გამოცდა.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეორე განყოფილებამ (ამხ. ო. მჭედლიძემ) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობს.

3. ეს ბრძანება განსახილველად და შესაბამის ღონისძიებათა განხორციელების მიზნით დაეგზავნოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 25 სექტემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი
№ 523

ქ. თბილისი, 1970 წლის 8 ოქტომბერი

ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა შესრულების საქმეში სკოლების ხელმძღვანელობისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობის ამაღლების შ ე ს ა ხ ებ

უკანასკნელი წლების მანძილზე ხანძრისაგან დაზარალდა სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებათა გარკვეული ნაწილი. ხანძრის შემთხვევებს ადგილი აქვს მიმდინარე 1970/71 სასწავლო წლის დასაწყისშიც. 1970 წლის 30 აგვისტოს დაიწვა ამბროლაურის რაიონის ველევის 8-წლიანი, ხოლო სექტემბერს ზუგდიდის რაიონის ოდიშის საშუალო სკოლების შენობები.

ხანძრის გაჩენის ძირითად მიზეზებს წარმოადგენს: ცეცხლთან გაუფრთხილებლობა, უწესივრო ელექტროგაყვანილობათა, დროებითი თუნუქის ღუმელების, გათბობის სისტემებისა და საკვამურების ექსპლოატაცია. ასე, მაგალითად, უწესივრო მდგომარეობაში მყოფი ელექტროგაყვანილობის ექსპლოატაციის შედეგად 1969 წლის 11 დეკემბერს დაიწვა მარნეულის რაიონის დიდი მუღანლოს დაწყებითი სკოლის შენობა, თუნუქის ღუმელის ხმარების წესების დარღვევის გამო 1969 წლის 19 ნოემბერს დაიწვა ყვარლის რუსული საშუალო სკოლა. ამავე მიზეზებით 1969—70 წლებში დაიწვა: ბოლნისის რაიონის კაზრეთის რუსული, წყალტუბოს რაიონის ტყაჩირის 8-წლიანი, ზესტაფონის რაიონის მარტოთუბნის, ქ. ცხაკაიას, დაწყებითი სკოლებისა და ქ. ზუგდიდის № 19 საბავშვო ბაღის შენობები.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები ჯერ კიდევ არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებათა ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით უზრუნველყოფის საქმეს.

ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილების გამგე და სკოლის დირექტორი უპასუხისმგებლობდ ეკიდება რესპუბლიკურ და ადგილობრივი სახანძრო ორგანოების მოთხოვნილებათა შესრულებას. ხშირ შემთხვევებში სახალხო განათლების ობიექტები იმყოფებიან სრულიად არადამაკმაყოფილებელ ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობაში: უზრუნველყოფილნი არ არიან ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით, გაუქმებულია სათადარიგო გასასვლელები, არა აქვთ ბავშვების საევაკუაციო გეგმები, მომსახურე პერსონალი მომზადებული არ არის ხანძრის გაჩენისას აუცილებელი ზომების მისაღებად.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადებისას კომისიები ხშირად ღებულობენ სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებს საექსპლოატაციოდ მაშინაც კი, როცა სკოლები უზრუნველყოფილნი არ არიან ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით, სათანადო მოთხოვნილებებს არ უყენებენ მათ ხელმძღვანელებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს 1967 წლის 30 დეკემბრის ერთობლივი ბრძანების „სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში და სახალხო განათლების სხვა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ შესასრულებლად.

სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა შენობებში მასობრივი ღონისძიებების, საღამოების, კონცერტებისა და საახალწლო ნაძვის ხის მოწყობისას ყველგან არ იცავენ ხანძარსაწინააღმდეგო უშიშროების წესებს.

შენობის კაპიტალური და მიმდინარე რემონტის ჩატარებისას არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება სათანადო პროფილაქტიკური ღონისძიებანი გათბობის სეზონისათვის მოსამზადებლად.

სკოლების შემოწმებისას სახალხო განათლების განყოფილებათა ინსპექტორების უმრავლესობა ყურადღებას არ აქცევს სკოლების სახანძრო უშიშროების მდგომარეობას.

სსრკ-ის განათლების მინისტრის 1970 წლის 20 ივლისის № 47 ბრძანებისა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამი-

ნისტროს 1970 წლის 26 აგვისტოს № 12/1/2081 წერილის შესასრულებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) მიიღონ გადამჭრელი ზომები „სსრკ-ის განათლების სამინისტროს სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების, სკოლამდელი და სხვა დაწესებულებებისათვის სახანძრო უშიშროების ტიპიური წესების“ თანახმად სკოლებისა და განათლების სხვა დაწესებულებათა ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებებით უზრუნველსაყოფად;

ბ) გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი სკოლებში და განათლების სხვა დაწესებულებებში ელექტროგაყვანილობათა, გათბობის სისტემებისა და საკვამურების სრულ წესრიგში მოსაყვანად, არ დაუშვან უწესივრო მდგომარეობაში მათი ექსპლოატაცია;

გ) აკრძალონ დროებითი თუნუქისა და კედლის ღუმელების გამოყენება სახანძრო დაცვის ორგანოების ნებართვის გარეშე;

დ) სკოლების ინსპექტირებისას შეისწავლონ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა შესრულების მდგომარეობა; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ საკითხის სახალხო განათლების ობიექტების ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში;

ე) სახანძრო დაცვის განყოფილებებთან ერთად მიიღონ აუცილებელი ზომები სკოლებში და საბავშვო დაწესებულებებში ნორჩ მოხალისეთა სახანძრო რაზმეულების ორგანიზაციისა და მათი მუშაობის გააქტივებისათვის; დახმარება გაუწიონ ახლად ჩამოყალიბებულ სახანძრო რაზმეულებს სახანძრო საქმის შესწავლაში;

ვ) ზამთრის სეზონისათვის მზადებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარების საქმეში მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს განათლების საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს 1967 წლის 30 დეკემბრის № 148/55 ერთობლივი ბრძანებით;

ზ) აღნიშნული ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ 1970 წლის 15 ნოემბრამდე მოახსენონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

2. სკოლებში და საბავშვო დაწესებულებებში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარების საქმეში პერსონალურ პასუხისმგებლობას ვაკისრებთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეორე განყოფილებამ (ამხ. ო. მჭედლიძემ) მტკიცე კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

4. ეს ბრძანება განსახილველად და შესაბამის ღონისძიებათა განხორციელების მიზნით დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 25 სექტემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმისა

ოქმი № 15, § 4

1966 წლის 20 მაისი

წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევების გამოკვლევისა და აღრიცხვის თაობაზე დებულების დამტკიცების თაობაზე

1. დამტკიცდეს დებულება წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევების გამოკვლევისა და აღრიცხვის შესახებ (თანდართულია) და მოქმედებაში იქნას შეყვანილი 1966 წლის 1 ივლისიდან.

2. პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 4 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებული დებულება წარმოებასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების გამოკვლევისა და აღრიცხვის შესახებ და პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 20 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულება კოლმეურნეობებში წარმოებასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების რეგისტრირებისა და აღრიცხვის შესახებ ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

3. დაევალოს პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებს სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ამ დებულების შესაბამისობაში მოიყვანონ წარმოებასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების გამოკვლევისა და აღრიცხვის შესახებ ადრე არსებული ინსტრუქციები.

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური
საბჭოს თავმჯდომარე ვ. გრიშინი

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური
საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის
20 მაისის დადგენილებით

ოქმი № 15 პ 4

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევების გამოკვლევისა და აღრიცხვის შესახებ

1. საერთო დებულებანი

1. ეს დებულება ვრცელდება ყველა საწარმოზე, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე, მათ შორის კოლმეურნეობებზედაც.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: შემდგომში დებულების ტექსტში საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები წოდებული იქნება „ორგანიზაციები“.

2. უბედური შემთხვევები დებულებაში გათვალისწინებულ გამოკვლევას ექვემდებარებიან იმ შემთხვევებში, თუ მოხდა:

ა) ორგანიზაციის ტერიტორიაზე;

ბ) ორგანიზაციის ტერიტორიის გარეთ, ორგანიზაციის მიერ დავალებული სამუშაოების შესრულების დროს (თბო და ელექტროქსელის, კავშირგაბმულობის კომუნიკაციებზე, ორგანიზაციის საბინაო ფონდის რემონტის დროს და ა. შ.), აგრეთვე თუ მუშამოსამსახურეებს შეემთხვათ სახლიდან სამუშაოზე ან სამუშაოდან სახლში ორგანიზაციის ტრანსპორტით გადაყვანის დროს.

გამოკვლევას ექვემდებარებიან ის უბედური შემთხვევები, რომლებიც მოხდა სამუშაო დროის განმავლობაში (დაწესებული შესვენების ჩათვლით). სამუშაოს დაწყებამდე ან დამთავრებისას ზედმეტ საათებში, დასვენების დღეებში და დღესასწაულებში მუშაობისას.

3. მწვავე მოწამვლა, სითბური დარტყმა და მოყინვა გამოიკვლევა და აღირიცხება, როგორც უბედური შემთხვევა.

პროფესიონალური ქრონიკული მოწამვლა და დაავადება გამოიკვლევა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

4. წარმოებაში მომხდარი ისეთი უბედური შემთხვევის გამოკვლევის შედეგები, რომელმაც შრომის უნარის დაკარგვა არა ნაკლებ ერთი დღით გამოიწვია, ფორმდება ნ—1 აქტით (დანართი 1).

ფორმა ნ—1 აქტი 45 წლის განმავლობაში ინახება.

5. თუ წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებული სამკურნალო დაწესებულებების დასკვნით ძირითადი პროფესიის სამუშაოდან, ადრინდელი შრომისუნარიანობის აღდგენამდე სხვა სამუშაოზე გადაჰყავთ, ასეთი შემთხვევაც გამოიკვლევა და აღირიცხება.

სამუშაო დღეები უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებული გადაყვანის დროისათვის ანგარიშში არ შეიტანება, მაგრამ აღინიშნება ფორმა ნ—1 აქტის მე-17 პუნქტში. თუ გამოკვლევის შედეგად არ დადგინდა უბედური შემთხვევის კავშირი წარმოებასთან,(მაგალითად, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე რაიმე საგნის დამზადება პირადი მიზნისათვის ან ორგანიზაციის სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება ორგანიზაციის ტერიტორიაზე, სპორტული თამაშობის დროს, მასალების, ხელსაწყოების ან სხვა საგნების ბატაცების დროს. სიმთვრალის გამო, თუ იგი არ არის შედეგი წარმოებასთან დაკავშირებული ტექნიკური სპირტების, არომატული, ნარკოტული და მისი მსგავსი ნივთიერების გამოყენებისა და ა. შ.), მაშინ ფორმა ნ—1-ის აქტში კეთდება აღნიშვნა „უბედური შემთხვევა წარმოებასთან დაკავშირებული არ არის“.

როცა ადმინისტრაცია მივა იმ დასკვნამდე, რომ უბედური შემთხვევა წარმოებასთან დაკავშირებული არ არის, ვალდებულია ეს საკითხი განსახილველად შეიტანოს პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტში.

ადმინისტრაციის წინადადებაზე საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის თანხმობისას, ფორმა ნ—1-ის აქტზე (ზემო მარჯვენა კუთხეში) კეთდება აღნიშვნა „უბედური შემთხ-

ვევა წარმოებასთან დაკავშირებული არ არის". აღნიშნული უბედური შემთხვევები ანგარიშში არ შეიტანება.

თუ საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი ადმინისტრაციის წინადადებას არ ეთანხმება, ზემოხსენებული აღნიშვნა არ კეთდება.

უბედური შემთხვევის წარმოებასთან კავშირის საკითხის განხილვის დროს საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივ კომიტეტს უფლება აქვს გამოითხოვოს ტექნიკური ინსპექტორის დასკვნა.

7. პასუხისმგებლობა უბედური შემთხვევების სწორად და დროულად განხილვისა და აღრიცხვისადმი, აგრეთვე აქტში აღნიშნული ღონისძიებების შესრულებისადმი ეკისრება ორგანიზაციის ხელმძღვანელს, მთავარ ინჟინერს, სოფლის მეურნეობაში მთავარ სპეციალისტებს, საამქროს უფროსებს, ოსტატებს და შესაბამისი საწარმოო უბნების სხვა ხელმძღვანელებს.

8. უბედური შემთხვევების სწორად და დროულად გამოკვლევისა და აღრიცხვისადმი, აგრეთვე უბედური შემთხვევების გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებების შესრულებისადმი კონტროლს ახორციელებენ ზემდგომი სამეურნეო ორგანიზაციები, პროფკავშირთა საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტები, შრომის დაცვის საზოგადოებრივი ინსპექტორები, პროფკავშირთა ტექნიკური ინსპექტორები, სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობისა და ენერგო ზედამხედველობის ორგანოები მათი კონტროლის ქვეშ მყოფ ობიექტებზე.

9. იმ შემთხვევაში, როცა ადმინისტრაცია უარს ამბობს აქტი ფორმა ნ—1-ის შედგენაზე, ან როცა დაზარალებული არ ეთანხმება უბედური შემთხვევის შესახებ აქტში ჩამოყალიბებული უბედური შემთხვევის ვითარებას—დაზარალებულს უფლება აქვს ამ საკითხზე მიმართოს პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტს, აუცილებლობის შემთხვევაში საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი მოითხოვს ტექნიკური ინსპექტორის დასკვნას უბედურ შემთხვევაზე.

საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივმა კომიტეტმა, არაუგვიანეს 7 დღისა, უნდა განიხილოს დაზარალებულის განცხადება და მიიღოს დადგენილება, რომლის შესრულებაც ადმინისტრაციის მიერ აუცილებელია.

10. ამ დებულების დამრღვევები, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა, პასუხისგებაში მიიცემიან.

II. უბედური შემთხვევების გამოკვლევა და აღრიცხვა

11. წარმოებაში მომხდარი თვითეული უბედური შემთხვევის შესახებ თვით დაზარალებული ან დამსწრე დაუყოვნებლივ აცნობებს ოსტატს, საამქროს უფროსს ან სამუშაოთა შესაბამის ხელმძღვანელს. ოსტატი, შეიტყობს რა უბედური შემთხვევის შესახებ, ვალდებულია დაუყოვნებლივ აღმოუჩინოს დაზარალებულს პირველადი დახმარება და გაგზავნოს სამედიცინო პუნქტში, შემთხვევის შესახებ აცნობოს საამქროს უფროსს ან შესაბამისი სამუშაოების ხელმძღვანელს. გამოკვლევამდე ხელუხლებლად დასტოვოს სამუშაო ადგილი იმავე მდგომარეობაში, როგორშიც მოხდა უბედური შემთხვევა (თუ ეს არ ემუქრება იქ მომუშავეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, არ იწვევს ავარიას და არ დაარღვევს საწარმოო პროცესს, რომელიც ტექნოლოგიური პირობების გამო უწყვეტად უნდა წარმოებდეს).

იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებულმა სამუშაო დღის განმავლობაში არ აცნობა უბედური შემთხვევის მოხდენის შესახებ ან როცა შრომის უნარის დაკარგვა უბედური შემთხვევისთანავე კი არ დაიწყო, არამედ რამოდენიმე ხნის შემდეგ იჩინა თავი, ფორმა ნ—1-ის მიხედვით აქტი დგება მხოლოდ მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ, დაზარალებულის განცხადების ყოველმხრივი შემოწმების შემდეგ და ყველა გარემოებათა, მათ შორის მიყენებული ტრავმისა და მისი წარმომშობი მიზეზის შესახებ სამედიცინო დაწესებულების (ჯანპუქტის, პოლიკლინიკისა და ა. შ.) ცნობების, დამსწრეთა ჩვენებებისა და სხვა მტკიცებათა გათვალისწინებით.

12. იმ საამქროს უფროსი (შესაბამისი სამუშაოების ხელმძღვანელი), სადაც უბედური შემთხვევა მოხდა ვალდებულია:

ა) მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ სასწრაფოდ აცნობოს ორგანიზაციის ხელმძღვანელს და ორგანიზაციის პროფკავშირულ კომიტეტს;

ბ) საამქროს შრომის დაცვის უფროს საზოგადოებრივ ინსპექტორთან და უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერთან ან მის შემცვლელ პირთან ერთად 24 საათის განმავლობაში გამოიკვლიოს

უბედური შემთხვევა, გამოავლინოს თუ რა პირობებში და რა მიზეზით მოხდა იგი, აგრეთვე მიიღოს ზომები, რათა თავიდან იქნას აცილებული მსგავსი შემთხვევის განმეორება;

გ) უბედური შემთხვევის შესახებ შეადგინოს აქტი ნ—1 ფორმის მიხედვით—4 ცალად და გადაუგზავნოს ორგანიზაციის მთავარ ინჟინერს (ხელმძღვანელს).

ჯგუფური უბედური შემთხვევისას აქტი თვითეულ დაზარალებულზე ცალცალკე დგება.

13. ორგანიზაციის მთავარი ინჟინერი (სოფლის მეურნეობის მთავარი სპეციალისტი) ვალდებულია დღე-ღამის განმავლობაში განიხილოს და დაამტკიცოს აქტი, მიიღოს ზომები უბედური შემთხვევის გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად—მთავარი ინჟინერი დამტკიცებული აქტის თითო ეგზემპლარს (რომელშიც მოცემულია უბედური შემთხვევის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისათვის მე-16 პუნქტში აღნიშნული საჭირო ღონისძიების ჩამონათვალი) უგზავნის საამქროს უფროსს (შესაბამისი უბნის ხელმძღვნელს), პროფკავშირის კომიტეტს და პროფკავშირის ტექნიკურ ინსპექტორს.

14. ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია არა უგვიანეს სამი დღისა გამოკვლევის დამთავრებიდან მისცეს დაზარალებულს მისი მოთხოვნით უბედური შემთხვევის შესახებ შედგენილი დამოწმებული აქტის ასლი.

15. როდესაც უბედური შემთხვევით გამოწვეული შრომის უუნარობა გაივლის, საამქროს ადმინისტრაცია (შესაბამისი სამუშაოების ხელმძღვანელი) ავსებს აქტის მე-17 პუნქტს, უბედური შემთხვევის შედეგების შესახებ და ამის შესახებ ცნობას უგზავნის ორგანიზაციის პროფკავშირულ კომიტეტს, უსაფრთხობის ტექნიკის განყოფილებას (ბიუროს, უფროს ინჟინერს) და პროფკავშირის ტექნიკურ ინსპექტორს (დანართი № 2).

16. ორგანიზაციის სამედიცინო ნაწილი (სამედიცინო პუნქტი, პოლიკლინიკა) სისტემატურად უდგენს ხელმძღვანელსა და პროფკავშირის კომიტეტს სადღეღამისო ცნობას წარმოებაში მომხდარი იმ უბედური შემთხვევების შესახებ, რომლებმაც გამოიწვია შრომის უნარის დაკარგვა არანაკლები ერთი დღისა და იმ შემთხვევათა შესახებ, რომელთა გამოც დაზარალებული სხვა სამუშაოზე იქნა გადაყვანილი.

17. უბედურ შემთხვევას, რომელიც სხვა ორგანიზაციის მიერ გამოგზავნილ მუშას ან მოსამსახურეს ორგანიზაციაში შეემთხვა, გამოიკვლევს ის ორგანიზაცია, სადაც იგი მოხდა. ფორმა ნ—1 აქტის მე-8 პუნქტში აღინიშნება ის ორგანიზაცია, რომელმაც გამოგზავნა.

აღნიშნულ უბედურ შემთხვევებს აღრიცხავს ის ორგანიზაცია, რომლის მუშაკიცაა დაზარალებული.

უბედური შემთხვევა, რომელიც საწარმოო პრაქტიკაზე ორგანიზაციის ტექნიკური პერსონალის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ მოსწავლეს შეემთხვა, გამოიკვლევა და აღირიცხება იმ ორგანიზაციის ადმინისტრაციის მიერ, სადაც იგი მოხდა, ხოლო ფორმა ნ—1 აქტის მე-8 პუნქტში აღინიშნება სასწავლებელი, რომელშიც სწავლობს დაზარალებული.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებზე შედგენილი აქტების ასლი თითო ეგზემპლარად ეგზავნებათ დაზარალებულის მუდმივი სამუშაო ადგილის ან სასწავლებლის ადმინისტრაციასა და პროფკავშირულ კომიტეტს.

უბედური შემთხვევა, რომელიც საწარმოო პრაქტიკაზე სასწავლებლის ტექნიკური პერსონალის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ მოსწავლეს შეემთხვა ორგანიზაციის მიერ გამოყოფილ უბანზე გამოიკვლევა და აღირიცხება სასწავლებლის მიერ.

უბედური შემთხვევები, რომლებიც საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეებს შეემთხვათ საწარმოში (საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობაში) დროებით სამუშაოზე გაგზავნის დროს, გამოიკვლევა და აღირიცხება იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც იგი მოხდა, გამოკვლევაში მონაწილეობას ღებულობს სკოლის ან სხვა სასწავლებლის წარმომადგენელი.

18. თუ უბედური შემთხვევა მოწყობილობათა კონსტრუქციული უწესივრობის შედეგად მოხდა, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია ამ მოწყობილობის დამამზადებელ ქარხანას გაუგზავნოს დასაბუთებული რეკლამაცია, ხოლო მისი შესაბამისი ასლი პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტს და ზემდგომ სამეურნეო ორგანიზაციას.

19. თუ ორგანიზაციის ტერიტორიაზე წარმოებს სხვა (გარეშე) ორგანიზაციის სამუშაოები და ამ სამუშაოებს მისთვის გამოყოფილ უბანზე ან საწარმოო უბანზე მისი ტექნიკური პერსონალი

ხელმძღვანელობს, ამ უბანზე მომხდარი შემთხვევა გამოიკვლევა და აღირიცხება იმ (გარეშე) ორგანიზაციის მიერ, რომლის სამუშაოებიც წარმოებს.

თუ მშენებლობის ტერიტორიაზე ან ცალკეულ საამშენებლო უბნებზე სამუშაოებს გენმენარდე და სუბმენარდე ორგანიზაციები ერთდროულად აწარმოებენ, მაშინ უბედურ შემთხვევას იკვლევს და აღრიცხავს ის ორგანიზაცია, რომლის ტექნიკური პერსონალიც ხელმძღვანელობდა დაზარალებულის მუშაობას.

20. თუ უბედური შემთხვევა მძღოლს ან ტვირთის გამყოლ პირს გზაში, ორგანიზაციის ტერიტორიის გარეთ, ხელშეკრულებით (ან განაცხადით) მის განკარგულებაში გამოგზავნილ ავტომეურნეობის კუთვნილ ავტოტრანსპორტზე შეემთხვა, გამოიკვლევა და აღირიცხება ავტომეურნეობის მიერ.

თუ უბედური შემთხვევა მოხდა ორგანიზაციის ტერიტორიაზე და ამის მიზეზი იყო მძღოლის მიერ მოძრაობის წესების, მომსახურეობის ან რემონტის დროს დაშვებული დარღვევები, ავტომეურნეობის კუთვნილებაში მყოფი ავტომანქანის ტექნიკური უწესრიგობის გამო, მაშინ იმ ორგანიზაციის ადმინისტრაციამ რომლის ტერიტორიაზეც მოხდა უბედური შემთხვევა, ამის შესახებ სასწრაფოდ უნდა აცნობოს ავტომეურნეობას და მასთან ერთად აწარმოოს გამოკვლევა. თუ მანქანა ეკუთვნის სხვა ქალაქის ავტომეურნეობას, მაშინ უბედური შემთხვევის გამოკვლევას ის ორგანიზაცია აწარმოებს, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა იგი. ეს ორგანიზაცია 24 საათის განმავლობაში უგზავნის ავტომეურნეობას გამოკვლევის მასალებს. უბედური შემთხვევა აღირიცხება დაზარალებულის სამუშაო ადგილის მიხედვით.

21. ორგანიზაციის ან საამქროს სოციალური დაზღვევის კომისია დახმარების გაცემისას, რომელიც მიეცემა თანახმად საავადმყოფო ფურცლისა, აღნიშვნით „წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევა“, საავადმყოფო ფურცელზე აწერს ნომერს და მისი შედგენის თარიღს.

III. ჯგუფური, მძიმე და სასიკვდილო უბედური შემთხვევის სპეციალური გამოკვლევა და აღრიცხვა

22. ამ განყოფილებით გამოკვლევას და აღრიცხვას ექვემდებარებიან ყოველ ორგანიზაციაში და წარმოებაში მომხდარი შემდეგი უბედური შემთხვევები:

ა) ჯგუფური უბედური შემთხვევები, რომლებიც ერთდროულად ორ და მეტ მუშაკს შეემთხვევა;

ბ) სასიკვდილო უბედური შემთხვევები;

გ) მძიმე უბედური შემთხვევები.

შენიშვნა: დასკვნას ტრამვის სიმძიმის შესახებ იძლევიან სამკურნალო დაწესებულებების ექიმები სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სქემის თანახმად.

23. ჯგუფური, სასიკვდილო ან მძიმე უბედური შემთხვევის შესახებ იმ საამქროს, სამშენებლო უბნის (განყოფილების) უფროსი, სადაც იგი მოხდა, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ორგანიზაციის ხელმძღვანელს და საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივ კომიტეტს.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია თვითეული უბედური შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს პროფკავშირის ტექნიკურ ინსპექტორს, რომელიც ამ ორგანიზაციას ემსახურება, აგრეთვე აცნობოს ზემდგომ სამეურნეო ორგანოს (სამინისტროს, უწყებას) პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტს, პროფსაბჭოს და იმ რაიონის პროკურატურას, სადაც ორგანიზაცია იმყოფება, ხოლო იმ უბედური შემთხვევების შესახებ, რომლებიც სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობისა და ენერგზედამხედველობის კონტროლის ქვეშ მყოფ ობიექტებზე მოხდა აცნობოს სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის ადგილობრივ ორგანოებს.

24. ისეთი ავარიების შემთხვევაში, რომლის დროსაც ადამიანთა მსხვერპლია, ხელმძღვანელი ვალდებულია აცნობოს დებულების 23-ე მუხლში აღნიშნულ ორგანიზაციებს, ხოლო თუ ასეთი შემთხვევა სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობისა და ენერგოზედამხედველობის კონტროლის ქვეშ მყოფ ობიექტებზე მოხდა, სახსამთო ტექნიკური ზედამხედველობისა და ენერგოზედამხედველობის საოლქო სამმართველოს.

პროფკავშირის ცკ და პროფსაბჭოები ასეთი უბედური შემთხვევების შესახებ აცნობებენ პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალურ საბჭოს.

25. ჯგუფური, სასიკვდილო და მძიმე უბედური შემთხვევები დაუყოვნებლივ უნდა გამოიკვლიოს პროფკავშირის ტექნიკურმა ინსპექტორმა.

სახსამთო-ტექნიკური ზედამხედველობის ან ენერგოზედამხედველობის კონტროლის ქვეშ მყოფ ობიექტებზე მომხდარ შემთხვე-

ვებს იკვლევს ამ ობიექტის მომსახურე შესაბამისი ინსპექტორი (ინჟინერ-კონტროლიორი) პროფკავშირის ტექნიკურ ინსპექტორთან ერთად.

ზემდგომი სამეურნეო ორგანოს ხელმძღვანელი ვალდებულია უბედური შემთხვევის შესახებ ცნობის მიღებისთანავე გაემგზავროს შემთხვევის ადგილზე და მონაწილეობა მიიღოს გამოკვლევაში.

26. პროფკავშირის ტექნიკური ინსპექტორი ადმინისტრაციის, პროფკავშირის კომიტეტისა და ზემდგომი სამეურნეო ორგანოს წარმომადგენლებთან ერთად დაუყოვნებლივ იკვლევს და, არაუგვიანეს შვიდი დღის ვადისა, ადგენს აქტს ამ დებულების 22-ე პუნქტში აღნიშნული უბედური შემთხვევების შესახებ. აქტში დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი, თუ რა პირობებში მოხდა უბედური შემთხვევა, წარმოებს მისი მიზეზის დადგენა და მიეთითება მათი აღმოფხრისათვის საჭირო ღონისძიებები. საჭიროების შემთხვევაში პროფკავშირის ტექნიკურ ინსპექტორს უფლება აქვს ორგანიზაციის ადმინისტრაციას მოსთხოვოს, რომ მის ხარჯზე:

ა) მოწვეული იქნას სპეციალისტი—ექსპერტი გამოკვლევაში მონაწილეობისათვის;

ბ) ტექნიკური ანგარიშის, ლაბორატორიული გამოკვლევების და სხვა საჭირო სამუშაოების წარმოება;

გ) დაზიანებული ობიექტის, უბედური შემთხვევის ადგილის ფოტოსურათების დამზადება და სხვა მასალების მიწოდება. აქტი ტექნიკური ინსპექტორის დასკვნით და მასალები უბედური შემთხვევის გამოკვლევის შესახებ, შემთხვევიდან არა უგვიანეს 7 დღისა, ეგზავნება პროფკავშირთა საბჭოს, პროფკავშირის საოლქო (საქალაქო, სამხარეო, რესპუბლიკურ) კომიტეტს, პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტს, იმ რაიონის პროკურატურას, სადაც ორგანიზაცია იმყოფება და ზემდგომ სამეურნეო ორგანიზაციას.

27. გამონაკლის შემთხვევაში, როცა შეუძლებელია ტექნიკური ინსპექტორის დაუყოვნებლივ მოსვლა, პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი ორგანიზაციის ადმინისტრაციასთან ერთად ნიშნავს კომისიას, რომელიც ვალდებულია გამოიკვლიოს უბედური შემთხვევის პირობები, დაადგინოს მისი გამომწვევი მიზეზები და შეადგინოს ამ დებულების 26-ე პუნქტის შესაბამისი აქტი.

ორგანიზაციის ადმინისტრაცია გამოკვლევის მასალებს უგზავნის პროფკავშირის ტექნიკურ ინსპექტორს, რომელიც თავისი დასკვნით თითო ეგზემპლარად გადაუგზავნის პროფკავშირის საოლქო (საქალაქო, სამხარეო, რესპუბლიკურ) კომიტეტს პროკურატურას, პროფკავშირის ცკ, პროფსაბჭოს და ზემდგომ სამეურნეო ორგანიზაციას (სამინისტროს, კომიტეტს, უწყებას), ხოლო იმ უბედურ შემთხვევების შესახებ, რომლებიც სახსამთო ტექნიკური ზედამხედველობისა და ენერგოზედამხედველობის კონტროლის ქვეშ მყოფ ობიექტებზე მოხდა, მათ შესაბამის სამმართველოებს.

28. ყველა უბედური შემთხვევა, რომელიც ავარიის შედეგადაა გამოწვეული, მიუხედავად მისი ხარისხისა და სიმძიმისა, განხილული უნდა იქნას საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების სხდომაზე, პროფკავშირის საოლქო (საქალაქო, სამხარეო, რესპუბლიკური) კომიტეტის ან პროფკავშირის საბჭოს პრეზიდიუმზე.

გამოკვლევის მასალებისა და საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე ორგანიზაციის დირექტორი (ხელმძღვანელი) გამოსცემს ბრძანებას უბედური შემთხვევის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის შესახებ და აქვე მიუთითებს ღონისძიებების განხორციელების ვადებს და იმ პირებს, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა მათი შესრულებისადმი.

ჯგუფური, მძიმე და სასიკვდილო უბედური შემთხვევების გამოკვლევის შესახებ შემოსული მასალების საფუძველზე პროფკავშირის ცკ შესაბამის სამინისტროსთან, უწყებასთან ერთად ანალიზს უკეთებს მათ გამომწვევ მიზეზებს და მისი შედეგების მიხედვით შეიმუშავებს რეკომენდაციებს სამეურნეო ორგანოებისა და პროფკავშირის კომიტეტებისათვის, უბედური შემთხვევების თავიდან აცილებისათვის საჭირო ზომების შესახებ.

ყველა ჯგუფურ, სასიკვდილო და მძიმე უბედურ შემთხვევას პროფკავშირთა საბჭოები და კომიტეტები სპეციალურ ჟურნალში აღრიცხავენ (დანართი № 3).

29. მიუხედავად სპეციალური გამოკვლევისა და აღრიცხვისა, თვითეული უბედური შემთხვევა, რომელიც კი მითითებულია 22-ე პუნქტში, ფორმდება ფორმა ნ—1 აქტით, ამ დებულების 2—21 პუნქტების შესაბამისად.

IV. უბედური შემთხვევების ანგარიშის შესახებ და მათი წარმომშობი მიზეზების ანალიზი

30. ფორმა ნ—1 აქტების საფუძველზე ორგანიზაციის ადმინისტრაცია ადგენს ანგარიშს წარმოებასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების დროს დაზარალებულთა შესახებ, ფორმა 7—ტ-ს მიხედვით.

ანგარიშ ფორმა 7—ტ-ში შეიტანება მხოლოდ ის უბედური შემთხვევები, რომლებმაც გამოიწვიეს შრომის უნარის დაკარგვა სამზე მეტი დღით (მათ შორის სასიკვდილო შემთხვევები და შემთხვევები სამკურნალო დაწესებულებების დასკვნით ძირითადი პროფესიიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანის დროს).

ანგარიშს ხელს აწერს ორგანიზაციის ხელმძღვანელი და საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე.

31. უსაფრთხოების ტექნიკის განყოფილებები, უფროსი ინჟინრები, ინჟინრები და ორგანიზაციების უსაფრთხოების ტექნიკაზე პასუხისმგებელი ცალკეული პირები უკეთებენ ანალიზს იმ ღონისძიებების ეფექტიანობას, რომლებსაც უბედური შემთხვევების თავიდან აცილებისათვის ახორციელებენ და შეაქვთ თავიანთი წინადადებები ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში.

32. ორგანიზაციის ადმინისტრაცია ანგარიშის თითო ეგზემპლარს ფორმა 7—ტ აღნიშნულ ვადებში წარუდგენს:

ა) ზემდგომ სამეურნეო ორგანოს (ტრესტს, სამმართველოს, სამინისტროს და ა. შ.);

ბ) ოლქის, მხარის, ასსრ-ს სტატისტიკურ სამმართველოს ან მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

33. ორგანიზაციებისაგან მიღებული ანგარიშების ფორმა 7—ტ მიხედვით და ჯგუფური, მძიმე და სასიკვდილო უბედური შემთხვევების გამოკვლევის მასალების საფუძველზე ზემდგომი სამეურნეო ორგანო (სამინისტრო, უწყება) და შესაბამისი პროფკავშირული კომიტეტები შეიმუშავებენ ღონისძიებებს უბედური შემთხვევების გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად სახალხო მეურნეობის თვითეულ დარგში და უზრუნველყოფენ მათ შესრულებას დაწესებულ ვადებში.

34. მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოები, საოლქო, სამხარეო და ასსრ სტატისტიკური სამმართველოები „წარმოებასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების დროს დაზარალებულთა შესახებ ნაკრებ ანგარიშს“ წარუდგენენ სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ან მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალურ-სტატისტიკურ სამმართველოს და რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, პროფკავშირთა საბჭოს—შესაბამისად. ამ ანგარიშთან ერთად სტატისტიკური სამმართველოები პროფკავშირთა საბჭოებს წარუდგენენ მონაცემებს საწარმოების შეთანხმებული წრის მიხედვით, ფორმა 7—ტ ს მოცულობით საანგარიშო პერიოდისათვის.

დანართი № 1
ფორმა ნ—1

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
ორგანიზაციის მთავარი ინჟინერი
(სოფლის მეურნეობის მთავარი
ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ი)

_____
(ხელმოწერა, თარიღი)

ა ქ ტ ი №_____

წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ

(ივსება 4 ცალად)

1. ორგანიზაციის დასახელება _____
2. ორგანიზაციის მისამართი _____
3. სახალხო მეურნეობის დარგი _____
4. დაზარალებულის გვარი, სახელი და მამის სახელი_____

_____

_____ ტაბ. № _____

5. მამაკაცი, ქალი (ხაზი გაუსვით) _____
6. წლოვანება _____
7. პროფესია (თანამდებობა)_____

   თანრიგი_____

8. საამქრო, რომელშიც მუდმივად მუშაობდა დაზარალებული (ან ორგანიზაცია დებულების მე-17 პუნქტის მიხედვით) _____

_____

9. უბედური შემთხვევის ადგილი _____

10. იმ უბნის ოსტატის გვარი, სადაც უბედური შემთხვევა მოხდა

_____

11. დაზარალებულის მუშაობის სტაჟი:

ა) ძირითადი პროფესიით მუშაობის საერთო სტაჟი _____

ბ) ძირითადი პროფესიის მუშაობის სტაჟი მოცემულ საამქროში _____

გ) მუშაობის სტაჟი იმ სამუშაოს შესრულების დროს, როცა უბედური შემთხვევა მოხდა _____

12. დროულად გადიოდა თუ არა დაზარალებული ინსტრუქციის შესაბამის ინსტრუქტაჟს, სწავლებას უსაფრთხოების ტექნიკაში

ა) შესავალი ინსტრუქტაჟი _____ :
(ჩატარების თარიღი)

ბ) ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილზე _____
(ჩატარების თარიღი)

გ) განმეორებითი ინსტრუქტაჟი _____
(ჩატარების თარიღი)

დ) სწავლება გაზრდილი საფრთხის სამუშაოების საწარმოებლად _____
(ჩატარების თარიღი)

ე) ატესტაცია _____
(ჩატარების თარიღი)

ვ) შემდგომი ატესტაცია _____
(ჩატარების თარიღი)

13. უბედური შემთხვევა მოხდა _____ საათზე _____

წლის _____ თვის _____ რიცხვში.

14. უბედური შემთხვევის ვითარების დაწვრილებით აღწერა____

_____

_____

_____

15. უბედური შემთხვევის მიზეზები _____

_____

_____

_____

16. უბედური შემთხვევის აღმოფხვრისათვის დასახელებული ღონისძიებების ჩამონათვალი.

№№ რიგზე	ღონისძიების დასახელება	შესრულების თარიღი	შემსრულებელი	აღნიშვნა შესრულების შესახებ[1]

აქტი შედგენილია_____საათზე _____წლის

თვის_____რიცხვში.

საამქროს უფროსი (უბნის ხელმძღვანელი)_____

უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერი_____

უფროსი საზოგადოებრივი ინსპექტორი_____

[1]) აღნიშვნას ღონისძიების შესრულების შესახებ აწარმოებს უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერი მხოლოდ მას შემდეგ, როცა საამქროს უფროსთან და უფროს საზოგადოებრივ ინსპექტორთან ერთად შეამოწმებს შესრულებას.

17. უბედური შემთხვევის შედეგები:

ა) ტრავმატოლოგიური შედეგები

გადაყვანილია მსუბუქ სამუშაოზე, არ დაინვალიდდა, დადგენილია I, II, III ჯგუფის ინვალიდობა, შემთხვევა სიკვდილით დამთავრდა (საჭიროა ხაზი გაესვას).

საავადმყოფო ფურცელში აღნიშნული დიაგნოზი	სამუშაოდან განთავისუფლებულია (აღინიშნოს რომელი დროიდან, რა დრომდე)	შრომისუუნარობის დღეების რაოდენობა (სამუშაო დღეებში)

ბ) მატერიალური შედეგები:

1. საავადმყოფო ფურცელზე გაცემულია _____ მან.
1. გაფუჭებული მოწყობილობის ღირებულება _____ მან.
3. გაფუჭებული იარაღის ღირებულება _____ მან.
4. გაფუჭებული მასალების ღირებულება _____ მან.
5. დანგრეული შენობებისა და ნაგებობათა ღირებ. _____ მან.

სულ: _____ მანეთი.

საამქროს უფროსი (უბნის ხელმძღვანელი) _____
(ხელმოწერა, თარიღი)

ბუღალტერი (საამქროს, უბნის) _____
(ხელმოწერა, თარიღი)

ინსტრუქციული მითითებანი ფორმა ნ—1 აქტის შევსების შესახებ _____

აქტების შესაბამისი პუნქტების შევსებისას საჭიროა ვიხელმძღვანელოთ შემდეგით:

პუნქტი—8 საამქროს დასახელება აღნიშნული უნდა იყოს საერთოდ მიღებული ტექნიკური ტერმინოლოგიით, მაგალითად, თუჯის სასხმელი, მექანიკურ-ამწყობი და ა. შ.

პუნქტი—9—საამქროს ქვეგანაყოფი ან ქარხნის ტერიტორიის უბანი აღინიშნება საერთოდ მიღებული ტექნოლოგიური ტერმინით, მაგალითად: გამომმტვრევი განყოფილება, საზეინკლო უბანი, საიარაღო, საკუჭნაო და ა. შ.

პუნქტი—13—შემთხვევის დრო აღინიშნება 24 საათიანი სისტემით, მაგალითად 16 საათი (და არა 4 საათი).

პუნქტი—14—უბედური შემთხვევის პირობების აღწერისას საჭიროა აღინიშნოს რას და როგორ ასრულებდა დაზარალებული; თუ ის მოწყობილობაზე მუშაობდა, საჭიროა აღინიშნოს პასუხობდა თუ არა ეს მოწყობილობა უსაფრთხოების მოთხოვნებს, აგრეთვე უნდა აღინიშნოს მისი ტიპი, მოდელი, დამამზადებელი ქარხანა და გამოშვების წელი. საჭიროა დაიწეროს, როგორ მოხდა უბედური შემთხვევა, რითი და სხეულის რა ნაწილია ტრავმარებული. თუ ადგილი ჰქონდა ელექტროდენის დარტყმას, საჭიროა აღინიშნოს დენის სახეობა და ძაბვა. თუ ეს იყო დამწვრობა, საჭიროა აღინიშნოს რისგან, მაგალითად: გამდნარი ლითონით, თუ აგრესული სითხით, რომლით და ა. შ.

პუნქტი—15—ამ პუნქტში აღნიშნული უნდა იყოს ძირითადი მიზეზი—ტექნიკური (დამცველი მოწყობილობების უქონლობა, მოწყობილობათა უწესივრობა, ინდივიდუალური დაცვის არასრულყოფილი საშუალებები და ა. შ., ან ორგანიზაციული (დაზარალებულს არ ჰქონდა შესწავლილი, ან არასწორად ესმოდა მუშაობის ხერხები, არ ჰქონდა ინდივიდუალური დაცვის საშუალებანი და ა. შ.).

მიზეზი—(მიზეზები) ჩამოყალიბებული უნდა იყოს ზუსტად და გასაგებად, ისე, რომ შემდგომი მსგავსი უბდური შემთხვევის განმეორების თავიდან აცილებისათვის ღონისძიების განსაზღვრისას (პ—16) არ იყო ეჭვმისატანი შედარებით უფრო ეფექტური ღონისძიების დანიშვნა.

პუნქტი—16—ღონისძიებათა ჩამონათვალში ცალცალკე აღინიშნება ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებები, დაზარალებულზე სასჯელის დადება არ წარმოადგენს ფორმა ნ—1 აქტის მე-16 პუნქტში გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

აღნიშვნა ღონისძიებების შესრულების შესახებ შეტანილი უნდა იქნას არა უგვიანეს 1 თვისა აქტის შედგენის დღიდან. კაპიტალურ დაბანდებებთან დაკავშირებული ღონისძიებებისათვის და ისეთი ღონისძიებებისათვის, რომლებიც ხანგრძლივ დროს მოითხოვენ, საჭიროა ყოველთვიურად წარმოებდეს აღნიშვნა ღონისძიებების შესრულების მიმდინარეობაზე, მის სრულ შესრულებაზე.

პუნქტი—17—უბედური შემთხვევის ტრავმატული შედეგები საჭიროა აღინიშნოს მკაცრად, საავადმყოფო ფურცელში აღნიშნული დიაგნოზის სრული შესაბამისობით, მატერიალური შედეგები ბუღალტრული ცნობის მიხედვით აღინიშნება.

დანართი № 2

ეგზავნება ორგანიზაციის პროფკავშირულ
კომიტეტს, უსაფრთხოების ტექნიკის
განყოფილებას (ბიუროს) პროფკავშირის
ტექნიკურ ინსპექტორს

ცნობა

უბედური შემთხვევის შედეგების შესახებ

_____

(დაზარალებულის გვარი, სახელი და მამის სახელი)

აქტი № _____ 197_____ წლის _____

17. უბედური შემთხვევის შედეგები:

ა) ტრავმატოლოგიური შედეგები

გადაყვანილია მსუბუქ სამუშაოზე, არ დაინვალიდებულა, ადგენილია I, II, III ჯგუფის ინვალიდობა, შემთხვევა სიკვდილით დამთავრდა (საჭიროა ხაზი გაესვას).

საავადმყოფო ფურცელში აღნიშნული დიაგნოზი	სამუშაოდან განთავისუფლებულია (მიეთითოს რომელ დროიდან როდემდე)	შრომისუუნარობის დღეების რაოდენობა (სამუშაო დღეებში)

ბ) მატერიალური შედეგები:

1. საავადმყოფო ფურცლით გაკემულია _____ მან.

2. გაფუჭებული მოწყობილობის ღირებულება _____ მან.

3. გაფუჭებული იარაღის ღირებულება _____ მან.

4. გაფუჭებული მასალის ღირებულება _____ მან.

5. დანგრეული შენობებისა და ნაგებობათა

ღირებულება _____ მან.

ს უ ლ: _____ მან.

საამქროს უფროსი _____
(ხელმოწერა, თარიღი)

(უბნის ხელმძღვანელი, ბუღალტერი)
საამქროს, უბნის _____
(ხელმოწერა, თარიღი)

ფორმა № 3

ჯგუფური, სახიკვდილო და მძიმე უბედური შემთხვევების რეგისტრაციის ჟურნალი

რიგითი №№	უბედური შემთხვევის თარიღი	ორგანიზაცია, სადაც მუშაობს დაზარალებული	დაზარალებულის გვარი, სახელი და მამის სახელი	დაბადების წელი	პროფესია	მოცემული პროფესიაზე მუშაობის სტაჟი	უბედური შემთხვევის ვითარების მოკლე აღწერა და მისი გამომწვევი მიზეზები	გამოკვლევის მასალები განხილულია (თარიღი)			გამოკვლევის მასალები გადაგზავნილია პროკურატურის ორგანოებში	სასამართლო ორგანოებში და პროკურატურაში განხილვის შედეგები
								საფ. საქ. ადგილ-კომის სხდომაზე	პრეფკ. საოლქო კომიტ. პრეზ-ზე	პროფსაბჭოს პრეზიდიუმზე		

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 519—ნორჩ მათემატიკოსთა მეთოთხმეტე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მეთხუთმეტე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ 3
2. ბრძანება № 590—მშობლიურ ლიტერატურაში მესამე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მეოთხე რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ 11
3. ბრძანება № 404—ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სასკოლო ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოთეკართა დაჯილდოების შესახებ 18
4. ბრძანება № 572—სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნის მიმდინარეობის შესახებ 21
5. ბრძანება № 545—1979—1971 სასწავლო წლისათვის სასკოლო სახელმძღვანელოებისა და მეთოდური-დამხმარე ლიტერატურის გამოცემის მიმდინარეობისა და ზოგიერთი საერთო-საკავშირო სახელმძღვანელოს შეცდომით გამოშვების შესახებ 24
6. ბრძანება № 96—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაობის შესახებ 27
7. ბრძანები № 565—1970 წლის საზაფხულო საკურსო ღონისძიებათა შედეგების შესახებ 31
8. ბრძანება № 576—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა მეორე რესპუბლიკური სპარტაკიადის შედეგების შესახებ 35
9. ბრძანება № 511—ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების იმ მასწავლებელთა შრომითი მოწყობის შესახებ, რომლებიც სკოლაში მუშაობისაგან თავისუფლდებიან იმასთან დაკავშირებით, რომ IV კლასები გადაყვანილი არიან მეცნიერებათა საფუძვლების სისტემატურ სწავლებაზე და დროებით შემცირდა დაწყებითი კლასების მოსწავლეთა რიცხვი . 46
10. ბრძანება № 532—რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ახალ 1970—1971 სასწავლო წლისათვის სასკოლო და სხვა საბავშვო დაწესებულებათა შენობების კაპიტალური შეკეთების მიმდინარეობის შესახებ 50
11. ბრძანება № 498—სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების შემდგომი გაფართოების ღონისძიებათა შესახებ 54
12. **Приказ № 491—О сериозных недостатках в руководстве Цалкского отдела народного образования вечерним и заочным образованием работающей молодежи 69**

13. დადგენილება—ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-9 რესპუბლიკური შეკრების შედეგებისა და მე-10 რესპუბლიკური შეკრების ჩატარების ღონისძიებათა შესახებ 74
14. ბრძანება № 524—რესპუბლიკის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საწვავითა და ელექტროენერგიით უზრუნველყოფისა და 1970—1971 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის ამ ობიექტების მომზადების შესახებ 80
15. ბრძანება № 523—ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა შესრულების საქმეში სკოლების ხელმძღვანელობისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ 83
16. დადგენილება—წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევების გამოკვლევის და აღრიცხვის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ . . 87
17. დებულება—წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევების გამოკვლევისა და აღრიცხვის შესახებ 88

ᲮᲣ.6/9

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 12 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/IV-71 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 7.

შეკვ. № 1419. უე—05832 ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 12, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.
Типография № 12 Главполиграфпрома Комитета по печати при Совете
Министров ГССР ул. Уш. Чхеидзе № 19